№ 279
პარასკევი,
8 აპრილი

ცნობის ფურცელი

№ 279
პარასკევი
8 აპრილი

გაზეთის ფასი: წლიწადში—6 მ., თვეში უდამატებოთ—50 კ. დამატებით—75 კ.; ნომერი—3 კ., დამატებით—5 კ. ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი „პეტიტით" პირველ გვერდზე—10 კ., მეოთხეზე—5 კ. ხელის-მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება: „ცნობის ფურც." რედაქციის კანტორაში ვანქის ქუჩაზე, № 27. განცხადებანი რუსეთიდან და საზღვარ-გარეთიდან მიიღება ლ. და გ. მეტცლისა და კომპ. განცხადებათა კანტორებში მოსკოვსა და პეტერბურგში.

ყოველ-დღიური გამოცემა
1896—1905

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება.—დასაბეჭდი წერილები რედაქციის სახელობაზე უნდა გამოიგზავნოს.—პირდაპირ მოლაპარაკება რედაქციასთან შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა, წინადღის 11—1-ლ საათამდე.—დაუბეჭდავს მცირე წერილებს და კორესპონდენციებს რედაქცია არ ინახავს, ხოლო ვრცელი წერილები ინახება ერთის თვის განმავლობაში.
ფოსტის ადრესი: Тифлисъ, въ редакцію „Цнобисъ-Пурцели"-„Моамбе". ტელეფონი № 37.

შაბათს, 9 აპრილს, შორეულ აღმოსავლეთში უდროვოდ გარდაცვალებულ შტაბს-კაპიტნის

ვლადიმერ ქაიხოსროს ძის ქაჯაიას

სულის მოსახსენებლად გადახდილ იქნება მეორმოცე დღის წირვა და პანაშვიდი, რასაც გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ, ნაცნობთ და ამხანაგთ მეუღლე მისი **სოფიო სერგოს ასული, მამა—პოლკოვნიკი ქაიხოსრო ტარიელის ძე ქაჯაია და სიდედრი ივლიტე ბიჭიას ასული იოანესიანისა.** დასაწყისი პანაშვიდისა დილის 12 საათზე, ქუთაისში, საკათედრო სობოროში. (1—1)

ძმ. ნიკიტინების ცირკი.
პარასკევს, 8 აპრილს, უკანასკნელი წარმოდგენა 3 განყოფილებად. სხვათა შორის საღამოს ასე 11 საათზე გაიმართება სამი **ქავკასიური ჭიდაობა.** ცნობილი ფალავანი **ჯიბგირი** დაეჭიდება ცნობილ ფალავანს **ვანო თარხანოვს** გამარჯვებულს 25 მან. მეორე ჭიდაობა: ცნობილი ფალავანი **როჲო** დაეჭიდება ფალავანს სანდრო **ჩიკვინიძეს** გამარჯვებულს ვერცხლის საათი. მე-3 ჭიდაობა: დაიჭიდებიან ფალავანი **მაისურაძე** და მედროგე **არუთინოვი** გამარჯვებულს 25 მან. დასასრულ კომიკური პანტომიმა. დასაწყისი საღამოს $8^1/_2$ საათ. დაწვრილებით პროგრამაში. (1—1)

ტფილისის სობრანიეში
პარასკევს, 8 აპრილს, საქველმოქმედო მიზნით გამართულ იქნება წარმოდგენა
ბრჭყალები
მონაწილეობას მიიღებენ: ქ-ბ. ნ. ჩხეიძე, ა. კარგარეთელისა, ბბ. გუნია, გედევანოვი, ქორიძე და სხვა.
ბილეთები იყიდება წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების მაღაზიაში.

ტფილისის დურგალთა ამხანაგობის
ავეჯეულობათა სავაჭროში
(მიხეილის ქუჩა № 97).
დღესასწაულების მოახლოებისა გამო დანიშნულია **იაფი ვაჭრობა** ყოველ გვარ ავეჯეულობაზე, გარდაწყვეტილი ფასია დადებული
მიიღება შეკვეთილებაც როგორც ავეჯეულობათა, აგრეთვე საადმშენებლო საქმეებისაც **ამხანაგობის ქარხანაში** (ელისაბედის ქუჩა სახლი № 25). მაღაზიის გამგე ი. რუსიშვილი, ქარხნის გამგე გ. ბერძენიშვილი გამგეობის თავმჯდომარე გრ. თოიძე. (8—3)

ჭიათურის მარგანეცის მრეწველთა საურთიერთო ნდობის საზოგადოების მორიგი კრება მოხდება 30 აპრილს ამა 1905 წლისა.
განახილველი საგნები:
1) განხილვა და დამტკიცება 1904 წლის ანგარიშისა; 2) განხილვა და დამტკიცება 1905 წლის ხარჯთ-აღრიცხვისა; 3) არჩევანი გამგეობის ორის წევრისა, საბჭოს სამის წევრისა, სარევიზიო კომმისიის წევრებისა და მათის კანდიტატებისა. (1—6.—1)

ტფილისის
კერძო სამკურნალო
მკურნალის დ. ა. გედევანიშვილისა.
ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე.
დილით:
ვ. ი. მიმინაძე. კბილის 8--9 საათ.
ბ. გ. მაღალაშვილი. შინაგანი ოთხშაბ. 9—10 საათ. და კვირაობით 9—11 საათ.
ა. ი. ბალარჯიშვილი.—ბავშვებისა. $9^1/_2$—$10^1/_2$ ს.
ნ. ტ. მუღინი.—ყურისა, სასისა და ცხვ. 10—11.
ვ. დ. დაჟაშიძე.—შინაგ. სამშ., ხუთშ., პარასკ. და შაბათობით 11—12.
ძ. ე. მაჭხნეტოვი. შინაგ. და ბავშვ. 12—1.
დ. ა. გედევანიშვილი.—შინაგანი, და ნერვებისა 12—1 ს.
ექ. ქალი ე. ძ. იოხელიანი.—ქალისა და საბებიო, სამშ., ხუთშ. და შაბათ. 12—1 ს.
ძ. ნ. დიასამიძე.—ვენერიული და კანისა $12^1/_2$—$1^1/_2$ საათ.
ს. ხ. ალექსი-მესხიშვილი.—ხირურგია 1—2.
საღამოს:
ხ. ი. გაჩაძე.—შინაგ. 6—7 საათამდე.
ოპერაციების გაკეთება შეუძლიანთ გარეშე ექიმ-ხირურგებსაც.
ფასი რჩევისა და დარიგებისა 50 კაპ., საავადმყოფოს აქვს ოთხი საწოლი. სამკურნალოში ოპერაციები მორიგებით. კრავატები დღეში ერთს 2-დან სამ მანეთამდე. საზოგადო და ნომერი—5 მან.
ადრესი: კუკია, ველიკოკნიაჟესკის ქუჩა, (კუკიის ხიდიდან მეცხრე სახლი) სახლი აბრამოვისა, № 9. მაწყვრის ქუჩიდან-კი 34 ბ.
ტელეფონი № 274.

ქ. ბათუმში
ექიმი ა. გ. მაღალაშვილი
იღებს შინაგანის და ბავშვების სნეულებით ავადმყოფებს ყოველ დღე დილის 9—10 საათამდის.
ტფილისის და ვლადიკავკავის ქუჩების კუთხეში კომერციული ბანკის სახლი. (60—403—50)

ექიმი
ა. ნ. დიასამიძე
მიიღებს ავადმყოფებს: სიფილისის, კანის და ვენერიულის ყოველ დღე დილის 9—11-მდე და საღამოს 6—8-მდე, გარდა კვირის საღამოსი. ლორის-მელიქოვის და ბარონის ქუჩების კუთხე, მესხიშვილის სახლი ფოსტის პირდაპირ № 18. (60—28—53)

ბავშვების ექიმი
ა. ი. ბალარჯიშვილი
კიევის უნივერსიტეტის ბავშვთა სნეულებათა კლინიკის ორდინატორად ნამყოფი იღებს ავადმყოფებს მხოლოდ 15 წ. ასაკამდე ყოველ დღე 11—12 წ.
მიხეილის პრ. № 115. ნემეცების ეკკლესიის გვერდით, ტელეფ. 729. (30—91—27)

ექიმი-ბებია
პ. ნ. დემიდოვი
ყოფილი ასისტენტი იურიევის (დერპტის) უნივერსიტეტის საბებიო-საგინეკოლოგო კლინიკისა, მიიღებს ავადმყოფებს საბებიო, ქალთა და ბავშვთა სნეულებისას ყოველ დღე, დილის 1-დან ნაშუადღევის 3 საათამდე. შემოწმება ძიძებისა და მოახლეებისა მხოლოდ კვირაობით 3-დან 4 საათზე. რეუტოვის ქ. № 22, ტელ. 313. (5—4)

ექიმი
ვ. ს. მუსხელიშვილი
მიიღებს თვალებით ავადმყოფებს: დილით 12—2 ს. საღამოთი 6—7 ს. ყოველ დღე გარდა სამშაბათისა. კუთხე კირკის და დიდი მთავრის ქუჩებისა სახლი სვანიშვილისა № 11.

კბილის ექიმი
ივანე პ. ახალშენიშვილი
[illegible]: ნიკოლოზისა (№ 32) და ხიდის. (№ 21) კუთხეში, ავჭალის ქ. დასაწყისში, სახლი ლაზარაშვილისა. ავადმყოფებს იღებს 9—2 ხდ [illegible] 5—7. კვირა-უქმით 10—1-მდე.

კბილის ექიმი
ე. ი. ბალარჯიშვილი
იღებს ავადმყოფებს 10—3 საათამდე და 5—7 მიხეილის ქუჩა № 115. გერმანელთა ტაძრის გვერდით (30—278—11)

ექიმი
გ. ი. ტერ-გრიგორიანცი
შინაგანთა, სპეციალისტი გულისა და ბავშვების ავადმყოფობის, რენტგენის სხივის კაბინეტი. დილის 10--11 საათ. და 5—7 საღ. მიხეილის პრ. № 545 ტელეფონი № 825. (90 296—21).

რუსეთ-იაპონიის ომი

დეპეშები

„რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან"

6 აპრილი

ვაშინგტონი. ოფიციალური წრეები აცხადებენ, არ არსებობს საკმაო საბუთები, რომლების ძალით შეიძლება ითქვას, რომ საფრანგეთი ნებას მისცემს ბალტიის ესკადრას დადგეს კამრანის ნავთ-სადგურში და მით ნეიტრალიტეტს დაარღვევსო. უნდა მივცეთ საფრანგეთს საჭირო დრო, რათა მან წინადადება მისცეს რუსის ესკადრას გავიდეს კამრანის ნავთსადგურიდან; სანამ ეს არ მომხდარა, შეუძლებელია ვუსაყვედუროთ საფრანგეთს, რომ ის როჟესტვენსკის მფარველობას უწევს.

ტოკიო. რამდენიმე საზღვაო ექსპერტი ჰფიქრობს, ბალტიის ესკადრა წყნარ ოკეანეთი წავა და ლაპერუზის სრუტეს გაივლის, მიუხედავად იმისა, რომ იქ ყინული დაცურავს. ლაპარაკი აქვთ იმაზე, ნებას დართავს თუ არა საფრანგეთი ბალტიის ესკადრას წაიღოს იმდენი ნახშირი, რამდენიც მას ვლადივოსტოკს მისვლამდე სჭირია. ეშინიანთ, საერთაშორისო გართულება მოხდებაო. აქამდე იაპონია უყურადღებოდ სტოვებდა იმას, თუ რა საშუალებით გაიარა ბალტიის ესკადრამ თავისი გზა. თუ ეს მოხდა, მაშინ იაპონია იმ ადგილს, საცა ესკადრა სდგას, საზღვაო ბაზათ ჩასთვლის და შესაფერ ზომებს მიიღებს.

ტოკიო, 6 აპრილი. დანიშნულია მინისტრთა და სახელმწიფოს უხუცეს მოღვაწეთა საგანგებო რჩევა მიკადოს თავმჯდომარეობით.

ლონდონი, 5 აპრილი. ბარონმა სუემატსუმ სთქვა „ცენტრ. ნიუს"-ის სააგენტოს წარმომადგენელთან ლაპარაკის დროს: „რუსეთი სცდება, როცა ფიქრობს, რომ ის შეაშინებს იაპონიას როჟესტვენსკის ფლოტის მოსვლით. ეხლა ისეთი მდგომარეობაა რუსეთში, იქაური ხალხი ისეა აღელვებული, რომ ძნელი მოსალოდნელია ექსპედიციის გამარჯვება ასე შორეულ წყლებში; ამასთან ტოგო შესძლებს მოიხმაროს სტრატეგიული გეგმები არსებულ გარემოებათა მიხედვით და ყოველ ღონეს ილონებს მტრის დასამარცხებლად. ამ ჟამად შეუძლებელია გადაჭრით ვსთქვათ, თუ რა შედეგი მოჰყვება საქმეს, მაგრამ იაპონიას შეუძლიან არხეინად იყოს და ელოდოს მომავალს". სუემატსუმ განაცხადა, რომ თუ საფრანგეთმა, როგორც ხმებია, თავშესაფარი მისცა რუსის ფლოტს, მაშინ იაპონიას სრული უფლება ეძლევა იჩივლოს ამის შესახებ. იაპონიას არც კი აქვს განზრახვა წაეჩხუბოს საფრანგეთს, აგრეთვე არავითარი ლტოლვილება არ აქვს კოხინხინისადმი, მაგრამ მას მაინც სურს საფრანგეთთან ნამდვილი მეგობრული კავშირი დაიჭიროსო.

პარიზი. ინდოეთ-ჩინეთის გაზეთები იუწყებიან, სადამოჟნო ბარქასმა მოასწრო იაპონიის კრეისერ „ნიპონ-იარენტან"-ს, რომელიც კამრანის ნავთ-სადგურს ზომავდა. პოლიტიკური წრეები აცხადებენ, ყოველს საფუძველს მოკლებულია ისა, რომ იაპონელები ირწმუნებიან, ვითომც რუსის გემების ინდოეთ-ჩინეთთან ყოფნა ნეიტრალიტეტის დარღვევას მოასწავებდეს და ვითომც როჟესტვენსკი სარგებლობდეს ახალშენების ნავთ-სადგურებითო.

მოსკოვი, 6 აპრილი. შორეულ აღმოსავლეთში წავიდა მოსკოვის 2000 გრენადერი; იმათში 300 თავიანთ სურვილით შესული დაბალი ჯარის კაცია და 50 ვოლონტიორი [illegible]. აღარებული ხალხი გაჰყვა კასაცემებლად. საყოველთაო საერობო ორგანიზაციას ცნობა მოსვლია, ხარბინში 40 ათასზე მეტი კაცია დაჭრილი და ავადმყოფი.

ტოკიო. ჰფიქრობენ, როჟესტვენსკის განზრახვა აქვს 24 აპრილამდე კამრანში დარჩესო. მომავალ მოქმედების მოლოდინში რუსის კრეისერები დაიჭერენ სავაჭრო გემებს, რომელნიც ფორმოზის სრუტისაკენ წავლენ.

ლონდონი. მეტი წილი ინგლისის ორთქლმავალ გემთა, რომელთაც სამხედრო სურსათი მიაქვთ იაპონიაში, მშვიდობიანად ასცდნენ ბალტიის ფლოტს.

გონკონგი. ინგლისის იმ ორთქლ-მავალ გემებზე, რომელთაც სანოვაგე მიაქვთ იაპონიაში, ინგლისელ მეზღვაურების მაგიერ ჩინელები მიიწვიეს, რადგანაც ინგლისელებმა უარი განაცხადეს, ვერ განვაგრძობთ გზას, ვინაიდან მოსალოდნელია რუსის ესკადრის შეხვედრაო. აქ ის აზრია, რომ როჟესტვენსკის ესკადრა საფრანგეთის ტერიტორიალურ წყლებს გარეშე იჭერს თავს, ასე სამის მილის მანძილზე; ეს რომ ასე არ იყოს, შეუძლებელი იქნებოდა შეემჩნიათ იგი ახლო მიმავალ გემებს. ამის შესახებ „სტანდარტ"-ი აგონებს იაპონელთ: თქვენი კრეისერი არ იყო იმავე კამრანის ბუხტაში რომ გაგზავნეთ ამ რამდენიმე თვის წინათო. როცა ეს ამბავი გაიგეს, თქვენ გულუბრყვილო მიზეზი წარმოადგინეთ, ნაღმოსანს ვეძებთო—თქვით. იმავ ნაპირის მეორე ბუხტში აღმოაჩინეს აგრეთვე იაპონიის კრეისერი, რომელიც ადგილებს ზომავდა.

იოჰანესბურგი. მოლაპარაკების შემდეგ, რომელიც 5 კვირას გაგრძელდა, შეთანხმება მოახდინეს: ინგლისის მთავრობისა და ბურების პარტიის პასუხის მგებელმა ასოციაციამ საერთოდ უნდა იმოქმედოს პოლიტიკურ ასპარეზზე; ბურების პარტიამ სიტყვა დასდო, ინგლისის მთავრობას გულმოდგინეთ მოვექცევითო, მაგრამ ამასთანავე განაცხადა, გადაწყვეტილი გვაქვს პასუხის საგები მთავრობა გვაჩინოთო.

ნიუ-იორკი. პორტო-რიკოში ძლიერი შეტაკება მოხდა გაფიცულთა და პოლიციას შორის. ბევრია დაჭრილი ორივ მხრივ. ამერიკის ბაირაღი ჩამოგლიჯეს და დაჯეჯგნეს ფეხით.

ტანჟერი. ის ხმები, ვითომც სულთანს მიეღოს საფრანგეთის პროექტი რეფორმების შესახებ, უსაფუძვლოა.

ლიმოჟი. მუნიციპალიტეტის რჩევამ მოუწოდა ხალხს, დამშვიდდით და წესიერება ჩამოაგდეთ; გულწრფელ სამძიმარს გიცხადებთ მოკლულ ჯარისკაცებს; დახოცილებს ყველას ქალაქი დაასაფლავებს თავის ხარჯზეო. ეშინიათ, კიდევ გამართება ახალი მანიფესტაციებიო. 89 კაცი დაიჭირეს. ქუჩებში ყარაულები დადიან.

დრეზდენი, 6 აპრილი. პურის მცხობ ოსტატების თანაშემწეებმა გადასწყვიტეს მოახდინონ საერთო გაფიცვა. სამხედრო მოხელეებმა აღუთქვეს, სამხედრო პურის მცხობელთ მოგაშველებთო, თუ საჭირო იქნებაო.

„პეტერბურგის დეპეშათა სააგენტოსაგან"

6 აპრილი

სიტიაზა, 5 აპრილი. ზვერავენ ადგილებს მტრის აღმოსაჩენად. გაიგეს, რომ იაპონელები ახალ სიმაგრეებს აგებენ. წინა რაზმებს შეტაკება მოსდით.

ტოკიო, 6 აპრილი. (რეიტერი). გუშინ წყალში ჩაუშვეს 200 ტონიანი ნაღმოსანი „კიჯი".

პეკინი. გადაწყვეტილია, გააკეთონ რკინის გზა აღმოსავლეთის საიმპერატორო სასაფლაომდე. პროექტია, თიანა—ცინჩაის რკინის გზისა, ხუბეის პროვინციაში.

შანხაი. იაპონელები წინადადებას აძლევენ ჩინეთს, ააშენოს ამერიკაზე ორჯერ უფრო იაფად ხანკოუ—კანტონის რკინის გზა.

ლონდონი, 6 აპრილი. გარეშე საქმეთა სამინისტრო არღვევს ცნობას, ვითომც სამხედრო გემს „იფიგენია"-ს ეცნობებინოს იაპონიის ფლოტისთვის რამე რუსის ესკადრის სადგომ ადგილის შესახებ. ყოველივე ცნობას დიდის საიდუმლოებით ინახვენ, მაგრამ შეუძლებელია დაუმალონ მეზღვაურებს ერთმანეთთან ლაპარაკი ნავთ-სადგურებში.

ლიმოჟი, 5 აპრილი. („ჰავასი"). არეულობის დროს მოჰკლეს ერთი და მძიმედ დასჭრეს 4 მუშა; დაჭრილია სამი აფიცერი და რამდენიმე უნტერ-აფიცერი და სალდათი. ქუჩებში ყარაულები დადიან. საღამომ მშვიდობიანად ჩაიარა. მოკლულ მუშის გვამს ხვალ გაასვენებენ კანვოის ქვეშ. მუშებმა ფურცლები გამოუშვეს, რომლებითაც იწვევენ ამხანაგებს დაესწრონ გასვენებას.

ლონდონი, 6 აპრილი. ადგილობრივ მმართველობის პრეზიდენტმა, ჯერალდ ბალფურმა, პალატაში კანონ-პროექტი შეიტანა იმისთანა ადმინისტრატიულ ორგანოების დაარსების შესახებ, რომელნიც უხელ-საქმოდ დარჩენილ მუშებზე იზრუნებენ. შინაგან საქმეთა მინისტრმა აკკერს დუგლასმა კანონ-პროექტი შეიტანა არა სასურველ ემიგრანტობის შესახებ. მთავარი პუნქტები შემდეგია: ემიგრანტები მხოლოდ იმ ნავთ-სადგურებში გადმოვიდნენ გემებიდან, სადაც ემიგრაციის საქმეების მოხელეა, ამ უკანასკნელის ნებართვით; ვისაც გადმოსვლის ნებას არ მისცემენ, მას შეუძლიან იჩივლოს საემიგრაციო კომისიაში. არა სასურველად სცნეს ისეთი ემიგრანტები, რომელნიც ვერ შესძლებენ თავიანთ სარჩოს შოვნას, აგრეთვე სულით ავადმყოფები, დასუსტებულები, დაავადმყოფებულები, რომელთაც მოვლა-პატრონობა სჭირიანთ. არ არიან სასურველნი ისეთი ემიგრანტებიც, რომელთა გვემას, როგორც პოლიტიკურ დამნაშავისას, მთავრობები სახელმწიფოები. იმ შემთხვევაში, თუ ემიგრანტს სდევენ პოლიტიკურ დანაშაულობისათვის, მას შეუძლიან გადმოვიდეს გემიდან, თუნდაც საკვები ფულიც არ ჰქონდეს. შინაგან საქმეთა მინისტრს უფლება აქვს არ მისცეს ნება ცხოვრებისა არა სასურველ ემიგრანტებს, როცა ამას სასამართლო გადასწყვეტს. ემიგრანტებს ნება ეძლევათ მხოლოდ რვა ნავთ-სადგურში გადმოვიდნენ, ფზინტსა და საუტჰემპტონს შორის. ეს არ ეხება გადასახლებულთ, რომელნიც სხვა ქვეყნებში მიდიან მატარებლებით. კანონ-პროექტი პირველ წაკითხვის დროსვე მიღებულ იქმნა.

სტამბოლი, 6 აპრილი. გამოვიდა ბრძანება სესხის შესახებ საფრანგეთში.

ერევანი. რადგანაც მატარებლები აღარ დადიან, ფოსტაც აღარ მოდის. ვაჭრებს საქონელი არ მოსდით. ყველაფერი გაძვირდა.

კირსანოვი, 6 აპრილი. სარატოვის და მორშანსკის სათუთუნე ფაბრიკებმა შეთანხმება მოახდინეს და დაუწიეს თუთუნს ფასი ერთიდან ორ აბაზამდე, რამაც ცუდ მდგომარეობაში ჩააგდო გლეხები.

შეცდომის გასწორება. ასხაბადში ხოლერა არ გაჩენილა. მოწოდებული ცნობა ასხაბადს კი არა, კუშკას ციხეს შეეხება.

ლონდონი. ლომ სთქვა, რუსულ შაქრის შესახებ არ ეთქვია ლაპარაკი ბრიუსელის სხდომაზე მომხდარ კრებაზეო. მეორე კითხვაზე, რომელიც შეეხებოდა იმას, რომ შეუძლიან თუ არა, მთავრობას გააუქმოს ყოველგვარი აკრძალვითი ზომები რუსულ ნაწარმოების შესახებ, ვინაიდან რუსულ შაქარს არავითარი ბაჟი არ ადევსო, ლომ უპასუხა, ძნელად თუ იზამს ამას მთავრობაო.

პარიზი, 6 აპრილი. დელკასემ უპასუხა პალატაში ნაციონალისტებს, რომელნიც კრიტიკულად არჩევდნენ ინგლის-საფრანგეთის შეთანხმებას, მაროკოს მთავრობამ 23 მარტს პრინციპიალურად მიიღო საფრანგეთის ყველა წინადადებანიო. რაც გერმანიას შეეხება, მან შესაფერი განცხადებანი მიიღო, მაგრამ თუ ეს არა კმარა, იმ შემთხვევაში დელკასე მზად არის შეავსოს იგინი და შეათანხმოს გერმანიისა და მაროკოს ინტერესები. რუვიემ სთქვა: „ჩვენ გვისაყვედურებენ, გერმანიას არ შეატყობინეთ წინდაწინო, მაშასადამე ყველა სახელმწიფოებისთვის უნდა გვეცნობებინა და არა მარტო გერმანიისთვისო. თუ გერმანიას კიდევ სურს რამე, განაცხადოს და ჩვენ მოვილაპარაკებთ". სოციალისტ გალიანს, რომელიც შეეკითხა მას, მიიღეს თუ არა, შორეულ აღმოსავლეთში ნეიტრალიტეტის დაცვის შესახებ ზომებიო, რუვიემ უპასუხა, ყველაფერი მზადაა ნეიტრალიტეტის დასაცველადო.

ჟურნალ-გაზეთებიდან

რუსისა და იაპონიის ფლოტის მოქმედება. მეტად არეული ცნობა მოდის ფლოტის მოქმედებაზე. ამოიდან იუწყებიან, ვითომ რუსის ესკადრა კუნძულ ფორმოზას აღმოსავლეთით იმყოფებაო, ერთი რუსის კრეისერი ვითომ ფორმოზას ჩრდილოეთითაც ასულა პორტ-კილუნამდე, მაგრამ ეს ცნობა იქნება ნამდვილი არ იყოსო.

ამავე დროს დეპეშებიდან სჩანს, რომ რუსისა და იაპონიის გემები ფილიპეს კუნძულებთანაც უნახავთ. მანილიდან იუწყებიან, იაპონიის 16 კრეისერი და ნაღმიანი გემი სამპალაკის კონცხთან (კუნძულ ბორნეოს ჩრდილოეთ ნაწილშია, კუნძულ ფალავანის სამხრეთით) იდგნენ და რუსის ესკადრის დასაზვერად წავიდნენო. რუსის 6 მენაღმე გემი წარსულ შაბათს ლინგაენის ბუხტაში მდგარა მანილას ჩრდილოეთით, კუნძულ ლიუსონის აღმოსავლეთით. 5 აპრილს მანილას სამხრეთითაც უნახავთ 3 სამხედრო გემი, მხოლოდ ვერ გაუგიათ, ვისი გემები ყოფილა. ამერიკელ ადმირალ ტრენს სამხედრო გემები გაუგზავნია ბაზილანის სრუტის (კუნძულ ლიუსონის სამხრეთით) დასაცველად. ალბად, ამერიკელ ადმირალს შესაძლებლად მიაჩნია, რომ რუსის ესკადრამ ბაზილანის სრუტით მოინდომოს წყნარ ოკეანეში გასვლა.

სხვა-და-სხვა ადგილიდან იუწყებიან, ადმ. როჟესტვენსკი დღემდე კამრაის ბუხტაში დგას, იქნება 24 აპრილამდე იქ დარჩეს და იაპონიაში მიმავალ გემების დაჭერას შეუდგესო. იქნება, ადმ. როჟესტვენსკის უმთავრესი ესკადრა კამრაის ბუხტაში ჰყავდეს, კრეისერები-კი აქეთ-იქით გაეგზავნოს იაპონიის ფლოტის დასაზვერად. იაპონელებს ნეიტრალიტეტის დარღვევად მიაჩნიათ რუსის ესკადრის დგომა კამრაის ბუხტაში და დიდ უკმაყოფილებას უცხადებენ საფრანგეთს.

„რუს"-ს დეპეშით ატყობინებენ ბერლინიდან: აქ ჰფიქრობენ, იაპონელები პირველები დაეცემიან ადმ. როჟესტვენსკის ესკადრასაო. ჰგონიათ, რომ პირველი ბრძოლა პესკადორის კუნძულებთან (ფორმოზას აღმოსავლეთით) მოხდებაო, რადგან ამ კუნძულებთან იაპონელებს დოკი აქვთ გემების შესაკეთებლადაო.

„კელნიშე ტაიტუნგ"-ი ჰფიქრობს, რადგან იაპონიის ფლოტი უფრო სწრაფლ მავალია, ვიდრე რუსის ფლოტი, ადმ. ტოგო სადაც უპჯობესად დაინახავს, იქ შეებრძოლება რუსებსაო. გაზეთის აზრით, საეჭვოა, რომ ბრძოლა 10 აპრილზე ადრე მოხდეს. („რ. ს.").

რუსეთის საზღვაო შტაბის აფიცერს უთქვამს „მატენ"-ის კორესპონდენტისათვის: ზოგი ჰფიქრობს, ვითომ ადმ. როჟესტვენსკი მარტო ვლადივოსტოკს მისვლას სცდილობს და არა იაპონიის ფლოტთან ბრძოლასაო, ამიტომ რუსის ადმირალი თავის კრეისერებს ვლადივოსტოკისაკენ გააქანებს, თითონ-კი ჯავშნიან გემებით ადმ. ტოგოს შეებრძოლება და შეაყენებსო. ეს შემცდარი აზრია. ადმ. როჟესტვენსკის უმთავრესი საქმე ისაა, რომ იაპონიის საზღვაო ძლიერება შეარყიოს, ამიტომ რუსის ადმირალი მთელის თავის ფლოტით უნდა შეებრძოლოს იაპონიის ფლოტსაო. („რ. ს.").

უცხოელების აზრი მომავალ საზღვაო ბრძოლაზე. „ნ. ფრ. პრესე"-ს აზრით, ადმ. როჟესტვენსკი დიდ განსაცდელშია; გაზეთს არა სწამს იმისი გამარჯვება, თუმცა რუსის ადმირალმა დიდი მხნეობა და მედგრობა გამოიჩინაო.

„ფიგარო" წინასწარმეტყველებას ერიდება, მხოლოდ სამართლიანად შენიშნავს, მომავალ საზღვაო ბრძოლას გადამწყვეტი გავლენა ექნება ომზეო. რუსეთისა და იაპონიის ბედი ამ ჟამად იმათ ფლოტის ბედზეა დამოკიდებული. ადმ. როჟესტვენსკიმ რომ გაიმარჯვოს, საქმე სულ სხვანაირად დატრიალდება, მაგრამ ამისათვის სასწაულია საჭირო, სასწაული-კი ჩვენ დროში მეტად იშვიათად ხდება. („ნ.").

უცხოელ მცოდნე მეზღვაურებისა და სამხედრო მიმომხილველების აზრით, ადმ. როჟესტვენსკის ჯავშნიანი გემებიც კარგი ჰყავს, გემებზე საუკეთესო დიდი ზარბაზნები უწყვია, ჯავშანიც საუკეთესო აკრავს იმის გემებს, მაგრამ ბრძოლის ბედს უმთავრესად მეზღვაურები გადასწყვეტენ და არა თითონ გემები და ზარბაზნები. იაპონელი მეზღვაურები-კი მაღლა დგანან რუსის მეზღვაურებზე. იმათ აფიცრებმა და მატროსებმა მშვენივრად იციან საზღვაო საქმე; მატროსებმა ყველამ იცის წერა-კითხვა და შეგნებით ასრულებს თავის საქმეს. საზღვაო ისტორია ამტკიცებს, რომ ზღვაზეც ისე, როგორც ხმელეთზეც, სწავლა იმარჯვებს და არა უსულო იარაღი და ზარბაზანი. („ო. ნ.“).

მომავალ საზღვაო ბრძოლის მნიშვნელობა. „ბირჟევია ვედომოსტი“ სწერს: „ადმ. როჟესტვენსკი სწორედ ადმ. მაკაროვის დაღუპვის წლის თავზე ჩავიდა ჩინეთის ზღვაში. ეს მეტად საიდუმლო, მრისხანე და დიდებული ნიშანია. მას აქეთ, რაც რუსეთმა და იაპონიამ ეს საშინელი ომი დაიწყეს, ჯერ ასეთი დიდებული წამი არ დამდგარა არც პორტ-არტურის ალებამდე, არც პორტ-არტურის ალების შემდეგ. ყველა საქმე, რასაც-კი ამ დიდებულ წამთან, იაპონიისა და რუსის ფლოტის შეხვედრასთან, პირდაპირი კავშირი არა აქვს, სულ უფერულად, წვრიმალად და უმნიშვნელოდ ჩაითვლება. ვერავინ ვერ გამოიცნობს მომავლის საიდუმლოს, მაგრამ ყველამ ვიცით, რომ ერთის დღისა, ან ერთის კვირის შემდეგ, სულ მოკლე ხანში, ისტორია ზარბაზნის ქექა-ქუხილ ქვეშ თავის უცილობელ და ურყეველ განაჩენს დაადგენს რუსეთისა და იაპონიის დიდ დავაზე“.

ვლადივასტოკი. „კენიგ. ჰარტ. ცაიტუნგ“-ი იუწყება: ვლადივასტოკში რუსებმა 5 იაპონელი მზვერავი დაიჭირესო. გაჩხრეკის დროს მზვერავებს ვლადივასტოკის ციხის სიმაგრეებისა და კედლების ფოტოგრაფიული სურათები უპოვეს. ამ სურათების პირი უკვე გაეგზავნათ იაპონიაში. („ნ.“).

„ეკო დე პარი“-ს კორესპონდენტი იუწყება: რუსეთის ხაზინამ ქალ. ვლადივასტოკს 1 მილიონი მანეთი მისცა საკვებ სურსათისა და სანოვაგის საყიდლად, რადგან ჰფიქრობენ, იაპონელები მალე ალყას შემოარტყმენ ვლადივასტოკსაო. („რ. ვ.“).

შუა მანჯურიაში. იაპონელებმა უკან დაიწიეს თავიანთ მარჯვენა ფრთაზე, რუსის რაზმები მდ. ხუნხეს ველამდე მაიყვანეს და მერე ისევ უკან გამოდევნეს. გენ. ლინევიჩი იუწყება: 1 აპრილს დილით იაპონელები იერიშით წამოვიდნენ და სოფლები პადიაცზი და ნანსანჩენცზი დაიჭირესო. შეიძლება, იაპონიის მარჯვენა ფრთის მოწინავე რაზმების უკან დახევა სამხედრო ხერხიც ყოფილიყოს.

მაინც იაპონიის არმიამ ისე სწრაფად არ გაილაშქრა ჩრდილოეთისაკენ, როგორც ელოდნენ. „კელნიშე ცაიტუნგ“-ის სამხედრო მიმომხილველი ჰფიქრობს, ალბად, მარშალი ოიამა ეხლა მაშველ ჯარსა, სამხედრო და საკვებ სურსათს ელის და ხარბინისაკენ გასალაშქრებლად ემზადებაო. იქნება იაპონიის მთავარ-სარდალი საზღვაო ბრძოლის გათავებასაც უცდიდეს.

შვედური გაზ. „აფტონბლადეტ“-ი იუწყება: რუსის კავალერიის რაზმებმა ბეჯითად დაზვერეს მტერი და ძლივს აღმოაჩინეს იაპონიის ჯარის ბინაო. („ს. ო.“).

იგივე გაზეთი იუწყება: მთავარ-სარდალმა ლინევიჩმა მოხსენება გაუგზავნა მთავრობას, მინდა გირინიც დავცალო და უკან დახევა განვაგრძოო. („ს. ო.“)

„ტაიმს“-ი იუწყება: გენ. ლინევიჩი იძულებული იქნება უკან დაიხიოს, თორემ იაპონელები გზას მოუჭრიანო.

ფეოდალურ-ბიუროკრატიული აზრები

ტფილისის თავად-აზნაურობის უკანასკნელ კრებაზე ისტორიული სახელი მოიხვეჭეს ბ. მ. მაჩაბელმა და სამმა მისმა თანამოაზრემ. ამ ოთხმა გაშავებულმა კენჭმა მოინდომეს საქართველოს ავტონომიის გაშავება, მაგრამ გაიშავეს მხოლოდ საკუთარი თავი. მათი ბელადი ბ. მაჩაბელი ლაპარაკობდა კრებაზე: კრიტიკულის თვალით რომ განვსაჯოთ წარსული, დავინახავთ, რომ გვირგვინოსანთ უყვარდათ ჩვენი ქვეყანა, მაგრამ ბიუროკრატია ხელს უშლიდა მათ, ეს სიყვარული საქმედ ექციათ. ამ ბიუროკრატიას უნდა შევებრძოლოთ ჩვენ ყველანი, ავტონომიაზე ფიქრი სულ მეტია, ამით ჩვენ განვარისხებთ რუსეთის საუკეთესო ნაწილსაო...

ეს არ იკმარა ბ. მაჩაბელმა და ახლა გაზეთში იმეორებს თავის შეუფერებელ აზრებს, ხოლო უფრო ვრცლად და გარკვევით გვიხატავს თავის „ისტორიულს“ შეხედულობას. სასაცილოა, რომ თავის აზრების დასაბუთებლად ბ. მ. მაჩაბელი ხალხს ეფარება უკან, ხალხს ექომაგება ვითომ: ხალხის უკითხავად, როგორ შეიძლება ავტონომიის მოთხოვნაო. ამას ამბობს დღეს ის ადამიანი, რომელიც ამ ორი-სამი წლის წინად სწერდა: „ყოველთვის და ყოველგან ხალხმა იცის ის, რასაც უქადაგებს განათლებული ნაწილი ერისა; თითონ ხალხი ვერ შეიგნებს რთულს საგნებს, რომელთაც დიდი მეცნიერული გამოკვლევა ეჭირვება და რომელიც შეეხება ხშირად განკერძოებულ საგნებს...“ „ნუ თუ ყველა მამულიშვილისათვის ცხადი არ უნდა იყოს, რომ თავად-აზნაურთა წოდება ჯერ კიდევ დაძველებული არ არის, იმიტომ კი არა, რომ ქონება მეტი აქვს სხვაზე, არამედ იმიტომ, რომ ჯერ ჩვენს ერს არა ჰყავს სხვა არავითარი წოდება, ანუ კლასი ცოტათი მაინც თვალსაჩინო და აღჭურვილი ზნეობრივის, ქონებრივის და ცოდნის ძალით. რომელსაც შეეძლოს იკისროს მემკვიდრეობა „დაძველებულის წოდებისა“ და ის მოვალეობა და საზრუნი, რაც ჩვენმა ერმა ვალად დასდო თ.-აზნაურობას... ენა, სარწმუნოება, სამშობლოს დაცვა ამ წოდების დროშაზე სწერია დიად, ამიტომაც ეს სიტყვა „წოდება“ ჯერ არ დაძველებულა, თუმცა შინაური მქადაგებელნი და გარეშე მტერნიც იმას აგონებენ ჩვენს ხალხს, რომ დროა ამ წოდებას ზურგი ვადრიკოთო.“

ამდენ ხანს ბ. მაჩაბელს ხალხი არაფრად მიაჩნდა და ხალხის აზრს აზრად არა სთვლიდა, ახლა კი, როდესაც უნდა მიწაში ჩამარხოს ავტონომია, ხალხის მეგობრად გამოდის, სხვა არა იყოს რა, ზრდილობა მოითხოვს, ხალხს დავეკითხოთო! როდის ეკითხებოდენ ბ. მაჩაბელი და მისი თანამოაზრენი ხალხს, როდის იყვნენ ხალხის მეგობრები, რომ ეხლა მოიგონეს? ყალბი იყო წინადაც მათი აზრი და ყალბია ახლაც. ისინი ყოველსავე აზრს ცვლიან იმისდა მიხედვით, თუ როგორ უჯობთ. მათი საქციელი სწორედ გრინგმუტის გაზეთს მოგვაგონებს, რომელიც ხალხს უწოდებს ყველას, ვინც მის სასარგებლოდ ლაპარაკობს, და მეამბოხეს და რევოლიუციონერს ეძახის, ვინც მას ეწინააღმდეგება. ბ. მაჩაბელი ვითომც ხალხს ექომაგება ეხლა, ვითომ ხალხს იმოწმებს, რომ გაიყვანოს თავისი, ფეოდალურ-ბიუროკრატიული აზრები. მაგრამ ამ ხალხის წინააღმდეგ ლაპარაკობდა, როდესაც სხვები ხალხის ინტერესებს იცავდნენ და წინაალუდგენ თავად-აზნაურებს.

მაგრამ კარგად ჩაუკვირდეთ ბ. მაჩაბლის დღევანდელ სიტყვებს: მართლა ექომაგება ახლა ხალხს? დღესავით ნათელია, რომ გლეხკაცობა დღეს ებრძვის ორგვარ უსამართლობას—პოლიტიკურს და ეკონომიურს. ბ. მაჩაბელი კი სხვანაირად უყურებს ამ საგანს და სწერს: „ასის წლის დამონავებულმა ბიუროკრატიულის წესწყობილებით ხალხმა, დაბეჩავებულმა, უმიწწყლომ, გაუნათლებელმა გამოიღვიძა და ხმა ამოიღო, მაგრამ, საუბედუროდ, ვერ არჩევს მტერს და მოყვარეს, ძმას და უცხოს და მიმართა ველურ ღონისძიებას: დაიწყო სახლკარის წვა და ძარცვა თავად-აზნაურთა ქონებისა. მე სულაც იმას არ ვამტკიცებ, რომ თავად-აზნაურობას ერის წინაშე არავითარი დანაშაულობა არ მიუძღოდეს; მე მხოლოდ იმ აზრისა ვარ, რომ დღეს მეზობელთა*) და მოძმეთა შორის მტრობა უნდა მოისპოს. ყოველ ოჯახში შესაძლოა უთანხმოება მოხდეს, მაგრამ როდესაც საერთო საერო საქმე უნდა გადაწყდეს, მაშინ მოძმეთა შორის მტრობა მუხანათობას უდრის“. როგორც ხედავთ, ბ. მაჩაბლის აზრით, მთელი უბედურობა თურმე ბიუროკრატიულის წეს-წყობილებისაგან წარმოსდგა და თუ უმამულო გლეხსა და მემამულეს შორის „უთანხმოებაა“, ეს უთანხმოება ბრძოლად არ უნდა გადაიქცესო. უზომო გაჭირვებამ, უმიწობამ გლეხი უკიდურეს მდგომარეობამდის მიიყვანა და ეს ბ. მაჩაბლისათვის მხოლოდ „უთანხმოებაა“ და გლეხმა წინააღმდეგობის ხმა არ უნდა ამოიღოს თავის „ძმის-მემამულის“ წინააღმდეგო!

ასეთი ფეოდალი გამოდის და იძახის: ხალხს უზრდელად ნუ ეპყრობითო! საკვირველი ლოღიკა უნდა ჰქონდეს ბ. მაჩაბელს, რომელსაც თუ გაიგებს მხოლოდ მისი თანამოაზრე და მეგობარი ბ. გ. გაბაშვილი.

ბ. მაჩაბლის მსჯელობა საკვირველია კიდევ იმიტომ, რომ ხალხს არ ეკითხება მაშინ, როდესაც უარჰყოფს ავტონომიას და ხალხი აგონდება, როდესაც სხვები არ უარჰყოფენ ავტონომიას. თუ უნდა ხალხს შეეკითხოს, განა არ უნდა შეეკითხოს პირველსა და მეორე შემთხვევაშიც?

რასაკვირველია, ხალხს არ მიუნდვია თავ.-აზნაურობისათვის, ჩემს მაგიერ ილაპარაკეო, მაგრამ თ.-აზნაურობას, როგორც წოდებას, როგორც ჯგუფს ნება აქვს, გამოსთქვას თავის საკუთარი აზრი ამა თუ იმ საზოგადო საკითხის შესახებ. ტფილისის თავად-აზნაურობაც ასე მოიქცა პირველს აპრილს. ამ მხრივ ის არც დასაგმობია, არც მოსაწონი. გამოსთქვას თავად-აზნაურობამ თავისი შეხედულება, როგორც გამოსთქვეს სხვა ჯგუფებმაც. საქმე ის არის მხოლოდ, თუ რას იტყვის ეს თუ ის ჯგუფი, რამდენად უახლოვდება თანამედროვე მოთხოვნილებებს და ხალხის ინტერესებს.

ამ მხრივ არ შეგვიძლია არ მივესალმოთ ავტონომიას, როგორც საუკეთესო, დემოკრატიულს წესწყობილებას. თვით-მმართველობას, ავტონომიას, ფედერაციას—ეკუთვნის მხოლოდ მომავალი. უამისოდ შეუძლებელია კაცობრიობის პოლიტიკური ორგანიზაცია. ყალბია ბ. მაჩაბლის აზრი, რომ ავტონომია არის ჩამოშორება და ერთობის მოსპობაო. ყალბია მისი აზრი, რომ რუსეთის საუკეთესო ნაწილი წინააღუდგება ავტონომიას. არა, რუსეთის საუკეთესო ნაწილმა კარგა ხანია გამოაცხადა: ყველა ერი თავისუფალია, ყველა ერს აქვს უფლება თვითგამორკვევისა!—თვითმმართველობა და თვითმოქმედება, აი ერთი უმთავრესი პრინციპთაგანი რუსეთის ერის საუკეთესო ნაწილისა და იგი განა წინააღუდგება ავტონომიას?

კიდევ ბევრი რამ ითქმოდა ბ. მაჩაბლის და მის თანამოაზრეთა წინააღმდეგ, მაგრამ ნათქვამიც კმარა. **კალამი**

---

*) დედანში დაბეჭდილია მებრძოლთა, მაგრამ ალბად კორექტ. შეცდომაა.

სოფლად

კახეთი. როგორც მოსალოდნელი იყო და როგორც მკითხველებმაც იციან, კახეთშიაც იფეთქა გლეხთა მოძრაობამ და ელვის სისწრაფით მოედო მთელ შიგნით კახეთს. ყოველმხრივ შევიწროებულმა და დაჩაგრულმა კახელმა გლეხმა მხრები შეიშმუშნა, თვალები აახილა და ნათლად გამოხატა თავისი მოთხოვნილება და საჭიროება. ეხლა იგი ისეთი ბეჩავი, ყოველის ამტანი, მომთმინე და სხვისა თვალებში შემყურე აღარ არის, როგორც აქამდე იყო. ამისათვის არ უნდა განვცვიფრდეთ, რომ ამ ჟამად ყველას „ერთობა და ძმობა“ აკერია პირზე, არ უნდა გაგვიკვირდეს, თუ გლეხნი ერთმანეთს ძმობას ჰფიცავენ და მერე ხელი-ხელ ჩაჭიდულნი მოქმედებენ. კახელი გონებრივად წყვდიადში იმყოფებოდა ისე, როგორც არც ერთი კუთხე საქართველოსი. არავინ ზრუნავდა იმისთვის არც მოხელე, არც მღვდელი, არც მასწავლებელი. პირიქით, ყველა იმას აწევს კისერზე. კახელმა გლეხმა არაფერი იცოდა გაზეთებისა და წიგნისა, ვიდრე შორეულ აღმოსავლეთში იაპონიის ზარბაზანი არ გავარდა, თითქოს თოფ-ზარბაზნის გრიალმა თვალები აუხილაო.

მოკლედ გავითვალწინოთ რაც აქამდე მოხდა: სოფ. ურიათუბნის მცხოვრებლებმა ადგილობრივ თავადიშვილების ტყე გაჩეხეს. ვაჩნაძიანში მთელმა სოფელმა მოითხოვა სათავადო მიწები, ტყე და ვენახიც-კი. აქ ჯარი გამოიგზავნა, მაგრამ ეხლაც მიდიან მცხოვრებნი და ტყესა სჭრიან. წინანდალში რამდენიმე ასი კაცი ბაირაღით გაემართა მემამულეებთან, მოაწერინეს ხელი და მერე სოფლის კანცელარია აიკლეს. საუფლისწულო მამულის მუშებმა მოთხოვნილებანი წარადგინეს და გაიფიცნენ. კონდოლსა და კისისხევში მცხოვრებ თავად-აზნაურებს გლეხებმა თავიანთ პირობებზე ხელი მოაწერინეს. ერთს კარებიც შეუმტვრიეს, სახლში შეუცვივდნენ და იქ დაუწყეს ძებნა, ეგონათ შინ არისო, თუმცა იმ დროს თელავში ყოფილიყო. აიკლეს და გააძევეს ვახახიშვილის კისისხევის მამულების მყიდველი რუსი, რომელმაც თელავში გაასწრო. თავ. ენისელსა და გრემში მემამულეებს ხელი მოაწერინეს. ზოგს ფანჯარები ჩაუმტვრიეს და ერთს, თავ. ჯორჯაძეს, ბოიკოტი გამოუცხადეს, რადგან პირობაზე ხელს არ აწერდა და სხვა. აქეთკენაც, ენისელსა და ნაფარეულში, ჯარი გამოიგზავნა.

— **კიდევ.**

სოფ. წყნეთი. 3 აპრილს წყნეთის სოფლის მცხოვრებნი, ასე 70 კაცი, თათბირის შემდეგ წავიდნენ ადგილობრივ მემამულეებს ბებუთოვებთან და მოითხოვეს, მამულის გამგენი და მოსამსახურენი გამოუშვათ. როდესაც თხოვნით ვერაფერი გააწყეს, შეამტვრიეს ჭიშკარი, გამოიყვანეს მოსამსახურენი. მოურავები და სოფლის კანცელარიაში ხელი მოაწერინეს, რომ ამიერიდან აღარ გაბედონ რაიმე დამოკიდებულება იქონიონ ადგილობრივ მემამულეებთან. მეორე დღეს ხელ-ახლა შეიკრიბა 60 კაცი, დაჰყვა ვერის ხეობას და აალებინა მუშაობაზე ხელი გლეხებს ბაისოგოლოვისა და სხვათა ფერმებში. აქედან გლეხები წავიდნენ თავ. ბებუთოვის საძოვარ ადგილებში და გარეკეს იქიდან ცხვარი. გამოაცხადეს, საძოვარი ადგილები ჩვენიაო. დენისის ადგილებიდან დაითხოვეს გაბაშვილის მოიჯარადრე პაპაძე. ა. გაბაშვილი გლეხებმა თან წაიყვანეს კანცელარიაში, სადაც 600-მდე ქალი და კაცი შეიკრიბა. კრებამ შეიმუშავა ისეთივე მოთხოვნილებანი, როგორც სოფლებშია, და წარუდგინა მემამულეებს. ორშაბათს ეს ამბავი შეატყობინეს ადმინისტრაციას და ადგილობრივ გაიგზავნა ყაზახებით ტფილისის მაზრის უფროსის თანაშემწე ე. გუგუშვილი.

ახალი ამბავი

◆ როგორც ვწერდით, ქართულმა და სომხურმა **პრესსამ დეპეშები გაუგზავნეს კავკასიის ნამესტნიკს** გრაფ ვორონცოვ-დაშკოვს და იმის თანაშემწეს სულთან-კრიმ-გირეის. ეხლა ორივესაგან პასუხი მოვიდა. ნამესტნიკის დეპეშაში ნათქვამია: „სიამოვნებით გავიგე დეპეშიდან, რომ სომხურ და ქართულ პრესსის მოღვაწენი კავკასიაში თანაგრძნობით მიეგებნენ ჩემს მოწოდებას საზოგადოებრივ ძალთა მიმართ. დარწმუნებული ვარ, რომ საერთო მუშაობაში საყვარელ ქვეყნის სასარგებლოდ კავკასიის პრესსა მხურვალე მონაწილეობას მიიღებს“. ბ-ნ სულთან-კრიმ-გირეის დეპეშა: „სექტემბერში უნდა შეადგინონ კანონი ბეჭდვითი სიტყვის შესახებ; განზრახული არ არის რითიმე შეზღუდონ გამომცემლობის საქმე ქართულსა და სომხურს ენებზე“.

◆ თითქმის მთელ ამიერ-კავკასიის **რკინის გზაზე გაფიცვაა** მუშებისა და სხვა მოსამსახურეებისა. გზათა მინისტრის განკარგულებით იმიერ-კასპიის მხრიდან ტფილისში დაუბარებიათ სარკინისგზო ბატალიონი. ამ ბატალიონის სალდათებმა რკინის გზის მუშების მაგიერობა უნდა გასწიონ.

◆ ამიერ-კავკასიის რკინის გზის მემანქანეებმა გუშინ საერთო განცხადება წარუდგინეს ტფ. ქალაქის მოურავს. **მემანქანენი სწერენ:** ჩვენ, სამასზე მეტი მემანქანე და მათი თანაშემწე, ეს მეოთხე დღეა გვიფიცნით და შევსწყვიტეთ მუშაობა. ვიცით, რომ ამით დიდი ზარალი მოსდის

ფელეტონი

რამ გამოიწვია მოსწავლეთა გაფიცვა და რას შეუძლიან მათი დამშვიდება?

მოზარდ თაობის აღზრდა იმავ აზრს ემსახურება, რასაც სახელმწიფო. მგელმა თავისი შვილი მტაცებლად უნდა აღზარდოს. არწივმაც თავისი ბარტყი სამტაცებლო ფრინვაში უნდა დაგეშოს. სანამ რუსეთს შევუერთდებოდით, ჩვენში ყველამ ზედ-მიწევნით იცოდა სამამაცო, საომრო ზნე-ჩვეულებანი. ფშავ-ხევსურეთსა და თუშეთში ახლაც საჭიროა თოფის სროლა და ხმლის ხმარება; ამიტომაც ბავშვებს პატარაობიდანვე წვრთნიან საჭიროების შესაფერად.

ძველ საბერძნეთში მეომრობა ყველამ იცოდა; საომარი ხელოვნება და გიმნასტიკა უმთავრესი ელემენტი იყო აღზრდისა. განვითარებული მუსკულები, ტანის სისადე და სილამაზე, ადამიანის გონებრივი და ფიზიკური სისრულე იყო ძველის ბერძნების იდეალი და ედვა საფუძვლად აღზრდას.

მაშ ყოველი საზოგადოება ზრდის მოზარდ თაობას იმ მიზნის შესაფერად, რა მიზანიც აქვს თვით საზოგადოებას.

ამიტომ არ უნდა გვიკვირდეს, რომ რუსეთში, რომლის წეს-წყობილებაც ბიუროკრატიულია, მოზარდ თაობის აღზრდის მიზანი ბიუროკრატიულია.

რა არის საფუძველი ბიუროკრატიულ წეს-წყობილებისა? ბატონ-ყმობა; ხალხი ყმა არის „ჩინოვნიკების“, „ბიუროკრატების“, პატარა „ჩინოვნიკები“ ყმები არიან დიდის „ჩინოვნიკებისა“. ბატონებს ნება აქვთ მოსთხოვონ ყმებს ანგარიში თვითონ კი არ აძლევენ ანგარიშს უმცროსებს, ხელ-ქვეითებს.

რა-კი ბიუროკრატია თავის მოღვაწეობის ანგარიშს არ აძლევს ხალხს და განუკითხავად ფარფაშობს, ნება აქვს სრულიად არ იზრუნოს საერთო კეთილდღეობისათვის. დაუდევრობა ერთი ნიშანთაგანია ბიუროკრატიის მრავალ-გვარ თვისებათა.

გონება-განვითარებული კაცი ყმად არ გამოდგება. ბატონ-ყმობის საფუძველია ხალხის უმეცრება. ამიტომ ბიუროკრატია სცდილობს დააბნელოს ხალხის გონება, წინააღმდეგია სკოლების გამრავლებისა, წიგნთსაცავებისა, ჟურნალ-გაზეთობის გავრცელებისა და სხ. იმ სკოლებში, რომელნიც ძალა-უნებურად არსებობენ, თითქმის არაფერს ასწავლიან, ყოველი სასარგებლო ცოდნა განდევნილია. გაზეთები ემორჩილებიან ცენზურას, რომელმაც უნდა ამოშალოს გაზეთის ფურცლებიდან ყოველი ჭეშმარიტი და მართალი სიტყვა. არავის არა აქვს ნება გამოსცეს გაზეთი, თუ მინისტრმა ნება არ დართო. განათლებულ კაცს არ აძლევენ გაზეთის გამოცემის უფლებას. გაზეთის გამოცემის თავისუფლება რომ ყოფილიყო, საქართველოში ორმოცზე იქნებოდა ახლა გაზეთი და ერის სულიერი მოთხოვნილება, ცხადია, უკეთ იქნებოდა დაკმაყოფილებული. ნება-დართულ ბიბლიოთეკებში აკრძალულია ქონა კარგის წიგნებისა. მაშინ, როდესაც რუსეთში სახალხო საშუალო და უმაღლეს განათლებაზე წელიწადში ოცი მილიონი იხარჯება, სამხედრო საქმეზე ათასმილიონობით ხარჯავენ.

ერთის სიტყვით, ბატონ-ყმობა, განუკითხავი ფარფაშობა და ხალხის გონების დაბნელება, ეს სამი რამ ახასიათებს, მოკლედ რომ ვთქვათ, ბიუროკრატიულ წეს-წყობილებას.

მაშ თანამედროვე სკოლას რუსეთში აქვს აზრად აღზარდოს „ჩინოვნიკი“, ეს უსულ-გულო, გონებით და ზნეობით გახრწნილი არსება, მაღალ-თან კუდ-ქიცინა, დაბალთან ამაყი, რომლის მთელი მოღვაწეობაც მიმართულია ხალხის კეთილ-დღეობის განადგურებისაკენ. მათრახის ხმარებას, სავა-კაცეს, „რაპორტების“ და „განკარგულებათა“ წერას დიდი ცოდნა და ჭკუა არ უნდა. პირიქით, ყოველსავე ამას მხოლოდ პირუტყვივით უგრძნო კაცი ასრულებს სისრულით. ეს არის მიზეზი, რომლის მეოხებითაც განდევნილია რუსულ სკოლიდან ყველაფერი, რასაც შეუძლიან განავითაროს გონება და ზნეობა.

დაბალი სკოლა, საშუალო და უნივერსიტეტი, ყველა ამ აზრს ემსახურება. კაცობრიობის ისტორიაში ძნელად მოიპოვება ისეთი დამახინჯებული, გამხრწნელი სკოლა, როგორიც ჩვენშია. ჩვენი, ე. ი. რუსული სკოლა, აბნელებს გონებას, ამდაბლებს ზნეობას, ასახიჩრებს ჯანმრთელობას, ე. ი. ზრდის სულითა და ტანით დაცემულ კაცს. რომელ ჩვენგანს არ განუცდია ამ სკოლის დამამხობელი გავლენა, არ შეუწირავს ამ სკოლისათვის თავისი სულიერი და ხორციელი ენერგია! რომელი ჩვენგანი არ სწყევლის სკოლაში გატარებულ დროს? ვის მოაგონდება რამე სიკეთე სკოლის კედლებს შორის? დიახ, ეხლანდელი სკოლა, თამამად შეგვიძლიან ვთქვათ, ცოდნის წყაროს მაგიერ საწამლავს ასმევს, შხამავს მოსწავლის ნორჩ აგებულებას.

დიდ უბედურებად უნდა ჩაითვალოს ძველ, მკვდარ ენების სწავლება საშუალო სასწავლებლებში. ავტორს გამოუცდია თავის თავზე დამღუპველი გავლენა ამ ენათა შესწავლისა. მწამდა, რომ არც ერთი ხსენებული ენა არ გამომადგებოდა ცხოვრებაში; რომ ამ ენების მეოხებით ვერ დავეწაფებოდი თანამედროვე მეცნიერების წყაროს. ვზეპირობდი სიტყვებს, ლექსებს უხალისოდ, ძალ-დატანებით, რადგან უამისოდ, „ატესტატს“ ვერ მივიღებდი და უნივერსიტეტში ვერ შევდგამდი ფეხს. ჩემს ბუნებას, ჩემს ცნობის-მოყვარეობას ვებრძოდი. მერე როგორც ენები, სწორედ შესაფერად მკვდრები იყვნენ თვით მასწავლებლებიც. დღეში სამ საათი ვუნდებოდი ამ ენებს. იყო წამდაუწუმ ყვირილი, წყრომა, გულის-მოსვლა მასწავლებელთა მხრივ და სულისა და გულის ფარული ტანჯვა და უკმაყოფილება მოსწავლეების მხრივ. ერთ ცოცხალ სიტყვას ვერ გაიკონებდით. „როგორი იქნება ამა და ამ ზმნის „წარსული დრო“, „ახლანდელი დრო“, „მერმინდელი“ და სხ.? გადათარგმნეთ ეს სიტყვები ბერძნულად! არაფერი არ იცით! დაბრძანდით, ცუდ ნიშანს ჩაგიწერთ, მეორე წელიწადს ამავე კლასში დაგტოვებთ!“ გაისმოდა მასწავლებლის ხმა. ამ დროს კი ვნატრობდით: ნეტავი ახლა ბუნების-მეტყველებას გვასწავლიდნენ, ნეტავი ჩვენ თვალ-წინ ამ კვდარ წიგნების მაგიერ ჰერბარიუმი და ცხოველთა კოლლექციები გვედგას! ნეტავი საქიმიო და საფიზიკო ლაბორატორიად გადაქცეოდა ეს კლასიო. ან ნეტავი გარედ ვიყოთ სადმე ბუნების წიაღში, მასწავლებელი ბუნების მეტყველი იყოს და შეგვასწავლიდეს ბუნებას! ან ნეტავი გვასწავლიდნენ ისტორიას, საზოგადოების კულტურულ მოძრაობას და სხ. ამგვარ ფიქრებში გართულ მოსწავლეს უეცრად დაეკითხება ფიცხელი მასწავლებელი: „აბა, მითხარით, რის თაობაზე მქონდა ახლა ლაპარაკი“? და რა-კი მოსწავლისაგან სასურველ პასუხს ვერ მიიღებს, გაჯავრდება, ცუდ ნიშანს ჩაუწერს და სხ. ამგვარად ორ ცეცხლს შუა ვიყავით, ჩვენს ფიქრსაც-კი ბორკილი ედვა, გონება შეხუთული და დამონავებული გვქონდა. მკითხველი დამეთანხმება, რომ ამგვარი სულიერი ტანჯვა უბრალო ცემა-ტყეპაზედ უარესი არის.

არც „ისტორიის“ სწავლების საქმე იყო მოწყობილი უკეთ. ვზეპირობდით უმთავრესად ომის ამბებს, იმასაც უსისტემოდ, უაზროდ. არ გვასწავლიდნენ კულტურის ისტორიას, ე. ი. იმას, რაც ბევრად უფრო საინტერესო და დამაკმაყოფილებელი ცნობის-მოყვარეობისა. ძალა-დატანებით ვსწავლობდით, რადგან გვეშინოდა ცუდის ნიშნების მიღებისა, და ძალაუნებურად ზეპირობა ხომ ნამდვილი ინკვიზიციაა კაცის სულისა.

ძველი სლავური ლიტერატურა ბერძნულსა და ლათინურზე უფრო უშინაარსო იყო. რუსულ ლიტერატურიდან ვსწავლობდით ძველ ლიტერატურას, ჩვენთვის სრულიად გაუგებარს, უსარგებლოს. დაუმატეთ ამას კიდევ არაკ-იგავები და შეგიძლიანთ წარმოიდგინოთ ნათლად, რა სულის-შემხუთველ ჰაერს ვსუნთქავდით.

არ გვასწავლიდნენ არც თანამედროვე ლიტერატურას, არც ეკონომიურ და საზოგადო ცხოვრებას, არც ბუნების მეტყველებას, ასე გასინჯეთ, არც ჰიგიენას. არავითარი ცოდნა არ გვქონდა არც ადამიანთა ცხოვრებისა, არც ბუნების მოვლენათა, სრულიად არ ვიცოდით აგრეთვე, რა არის მავნებელი ან სასარგებლო კაცის ჯანმრთელობისათვის.

ერთის სიტყვით, გვასწავლიდნენ გამოუსადეგარს, უაზრო აბდა-უბდას. და, რადგან ამ აბდა-უბდის შესწავლა ხალისს ვერ გვიღვიძებდა, ცნობის-მოყვარეობას ვერ გვიკმაყოფილებდა, მასწავლებლები ძალით, შიშით სცდილობდნენ გაეტანათ საქმე. „ცუდი ნიშნები“, შემდეგ კლასში არ გადაყვანა, გამოგდება, ეს იყო ერთად-ერთი მათი პედაგოგიური საშუალება. მათი მუქარა დამოკლეს ხანჯალივით გვქონდა დაღერებული თავზე.

ასე იყო გიმნაზიებში მეოთხმოცე წლებში. ასეა ახლაც. არც რეალურ სასწავლებლებშია უკეთ მოწყობილი საქმე. და სემინარიაში რა საზარლობაც ხდება, იმაზე უარესი შეუძლე-

ამიერ-კავკასიის ქალაქებს და მცხოვრებთ. ასეთი საქმე ჩავიდინეთ იმიტომ, რომ იძულებულნი ვიყავით, რადგან მთავრობა არავითარ ყურადღებას არ აქცევს ჩვენს გაჭირვებულ მდგომარეობას, თუმცა მრავალჯერ ვითხოვეთ შეესრულებინათ ჩვენი მოთხოვნილებანი. ვითხოვთ დახმარება აღმოგვიჩინონ ქალაქის თვით-მმართველობებმა და იშუამდგომლონ მთავრობის წინაშე, რომ ჩვენი მოთხოვნილებანი დააკმაყოფილონო. მემანქანენი თხოულობენ აგრეთვე, დაეთმოთ მოსალაპარაკებლად საბჭოს დარბაზი.

◆ **ქუთაისის გენერალ-გუბერნატორს თავ. ჯამბაკურ-ორბელიანს** ერთი ახალი განცხადება კიდევ გამოუცია. ამ განცხადების ძალით, იმ სოფელმა, სადაც გადიწვა სკოლა ან კანცელარია, ორის თვის განმავლობაში უსათუოდ უნდაააგოს ახალი შენობა. თუ კერძო შენობა ვადაიწვა, შენობის ფასი უნდა გადაიხადოს. ვინც ამ განკარგულებას არ შეასრულებს, შენობის ფასის გარდა გადახდება 3000 მანეთი ჯარიმა.

◆ **გორის და დუშეთის მაზრების უფროსებმა** აცნობეს ტფილისის გუბერნატორს, რომ გლეხთა მოძრაობისა და სასოფლო სამმართველოების საქმეთა გადაწყვეტის გამო ვერ შეგვიდგენია წელს ჯარში გასაწვევ ყმაწვილ კაცების სია, ამიტომ გთხოვთ გვაცნობოთ, როგორ მოვიქცეთო.

◆ გუშინ, 7 აპრილს, დილის $2\frac{1}{2}$ საათზე, როდესაც სახალხო მატარებელი № 3 გაჩერებული იყო, სად. კასპში ვიღამაც **რევოლვერით მოჰკლა ამავე მატარებლის მემანქანე ვოლმერი.** ეს მატარებელი გაიგზავნა უმემანქანოდ, გაჰყვნენ მემანქანის თანაშემწე და კაჩეგარი. ეს მატარებელი 6 აპრილს ძლივს გაგზავნეს და მაინც გზაში უბედურება შეემთხვა.

◆ როგორც მკითხველებმა იციან, ტფ. ქალაქის საბჭომ აარჩია განსაკუთრებული კომისია მოხსენების შესამუშავებლად იმის შესახებ, თუ როგორ უნდა მოეწყოს სახელმწიფო საქმე და **რა ესაჭიროებათ კავკასიის მცხოვრებთ.** კომისიას სასურველად უცვნია ტფილისი შეუერთდეს მოსკოვის საბჭოს მიერ გამოთქმულ მოსაზრებას. კერძოდ კავკასიის საჭიროებათა შესახებ კომისიამ საჭიროდ სცნო მოხსენების შედგენა. კომისიამ დაადგინა: 1. მიერთვას მინისტრთა საბჭოს მოხსენება, რომელშიაც პირველად ყოვლის აღინიშნოს, რომ ტფილისის ქალაქის საბჭო რუსეთის მომავალ მართვა-გამგეობის ფორმის საქმეში უერთდება მოსკოვის ქალაქის საბჭოს მიერ 1904 წლის 30 ნოემბერის სხდომაზედ მიღებულ რეზოლიუციას და შემდეგ ამავე მოხსენებაში შეტანილ იქნას კავკასიის განსაკუთრებული საჭიროებანი და 2. მიერთვას კავკასიის ნამესტნიკს მოხსენება კავკასიის მცხოვრებთა წარმომადგენლების ორგანიზაციის შესახებ ადგილობრივ საქმეების განსახილველად და გადასაწყვეტად. მოხსენების შედგენა დაევალა ქალაქის მოურავს.

◆ 6 აპრილს, დილის $9\frac{1}{2}$ საათზე, აბაშასა და ახალსენაკს შუა ვიღაცეებს აეღოთ ერთი რელსი იმ დროს, როდესაც დამატებით მატარებელს უნდა გაევლო. ამ მატარებლით **მიჰყავდათ აბაშაში შეპყრობილი აგიტატორები.** მაგრამ მემანქანემ დროზე შეაჩერა მატარებელი.

◆ სად. ხაშურში გუშინ, 7 აპრილს, გაჩერდა ბათუმიდან მომავალი **სახალხო მატარებელი № 4,** რადგან არც ერთმა მემანქანემ არ განაცხადა თანხმობა წასვლისა. მათ სთქვეს: ვინ არის თავდები, რომ ჩვენც მაშინისტ ვოლმერისავით არ მოგვკლავენო.

◆ **მატარებლების მიმოსვლის შეჩერებისა** გამო ბევრი სოფლისა და სხვა ქალაქის მცხოვრები, დროებით ტფილისში ჩამოსული, აქვე დარჩა. ახლო-მახლო სოფლელნი ეტლებით მიდიან. ხმა დადის, რომ მატარებლების მიმოსვლის შეჩერება ერთს კვირაზე მეტს ხანს გასტანსო.

◆ ბათუმში, როგორც იქიდან გვატყობინებენ, 5 აპრილს ზღვით **მოსულა ყაზახ-რუსთა ჯარი.** ეს ჯარი ტფილისში მოდის. ნაწილი გუშინ უკვე ჩამოვიდა.

◆ 5 აპრილს საქართველოს **ექსარხოსთან მოხდა კრება.** კრებას დაესწრნენ ტფილისში მყოფი ეპისკოპოსები და სასულიერო უწყების სხვა პირნი. კრებას ლაპარაკი ჰქონდა ქუთაისის სასულიერო სემინარიის ბედ-იღბალზე. ზოგმა სთქვა, უკეთესი იქნება ქუთაისში დაარსდეს ღვთისმეტყველო კურსები სამღვდელო თანამდებობაზე მოსამზადებლადაო. იმერეთის ეპისკოპოსმა განაცხადა, რომ ქუთაისში აუცილებლად უნდა გაიხსნას ისევ სასულიერო სემინარიაო. კრებამ მიიღო წინადადება ქუთაისში სემინარიის განახლების შესახებ და დაადგინა, აღძრას შესაფერი შუამდგომლობა.

◆ როგორც „ტიფ. ლის.“ გადმოგვცემს, რკინის გზათა მთავარ გამგეობას ბრძანება გამოუგზავნია, გამოუცხადოს **მემანქანეებს და მათს თანაშემწეებს,** თუ სამი საათის შემდეგ სამუშაოდ არ გავლენ, შორეულ აღმოსავლეთს ჯარში გაიგზავნებიანო.

◆ ბევრს ეცადნენ, რომ გუშინ, 7 აპრილს, როგორმე **თითო სახალხო მატარებელი გაეგზავნათ** ბაქოს, ბათუმს და ყარსს, მაგრამ არც ერთი მემანქანე და თანაშემწე არ გამოცხადდა.

◆ რაც რკინის გზის **მემანქანეები გაიფიცნენ** და მატარებლები აღარ დადიან, დიდ გაჭირვებაში ჩავარდნენ ბაქოს ლიანდაგზე წვრილი სადგურები, რადგან ამ სადგურებზე სრულიად არ მოიპოვება სანოვაგე, მეტადრე პური.

◆ ტფილისის მაზრის უფროსს უცნობებია გუბერნატორისთვის, სოფელ საგარეჯოს **მცხოვრებთ საკუთარი თვით-მმართველობა დაწესეს** და მისპეს ყოველივე კავშირი ადმინისტრაციასთანაო.

◆ 6 მარტს ბაქოსკენ სად. ბარგუშეთში **გაიფიცნენ ლიანდაგის მუშები.** ხელი აიღო მუშაობაზე აგრეთვე ას ორმოცდაათმა კაცმა, რომელნიც მუშაობდნენ ნავთის მილზე. თხოულობენ, ეხლავე მოგვეცით, რაც გვეკუთვნის და გაგვგზავნეთ ჩვენ ჩვენს სოფლებშიო. ესენი სხვა სოფლებიდან მოსული დღიური მუშები არიან, ამბობენ გვეშინიანო და მუშაობაზე იმიტომ იღებენ ხელს.

◆ 6 აპრილს ალექსანდროპოლში **მუშაობას თავი გაანებეს** დეპოს მუშებმა, ხელოსნებმა, მემანქანეებმა და მათმა თანაშემწეებმა. განაცხადეს, ვუერთდებით ტფილისისა და ბაქოს მოსამსახურეთა გაფიცვას და ვთხოულობთ, აგვისრულონ დანაპირი ჩვენის ცხოვრების გაუმჯობესების შესახებაო.

◆ ამას წინად გავაცანით მკითხველებს **ტრამვაის მოსამსახურეთა მოთხოვნილებანი.** ამ მოსამსახურეთ აურჩევიათ შემდეგი თორმეტი კაცი და იმათვის მიუნდვიათ ყოველივე მოლაპარაკება მოთხოვნილებათა გამო: კანტრალიორები გიგიბერია, აილაროვი და კოლბიკოვი, სადგურის უფროსები ალექსანდერი და საბანაძე, კონდუქტორები კვანტაძე, კრომმერი, ბაქრაძე და იზდანოვი, ვატმანები იტრიევი და კოჩურინი და დარაჯი თანდილოვი.

◆ **სოხუმის ეპისკოპოსად,** როგორც „ნოვოე ვრემია“ გადმოგვცემს, ინიშნება არქიმანდრიტი სერაფიმე (ერობაში ლეონიდე მიხეილის ძე ჩიჩაგოვი), რომელიც ამ ჟამად ერთ მონასტრის წინამძღვრად არის რუსეთში. სერაფიმეს პაჟთა კორპუსი გაუთავებია, სამხედრო სამსახურში შესულა და პოლკოვნიკის ხარისხამდე მისულა. 1893 წელს მ. სერაფიმეს თავი გაუნებებია სამხედრო სამსახურისთვის და მღვდლად კურთხეულა. ბერად 1898 წელს აღკვეცილა.

◆ ამ ორი დღის წინად ტფილისის ქალაქის ხელოსანთა გამგეობაში შეიკრიბნენ **პარიკმახერები და დალაქები.** კრებამ დაადგინა, კვირაობით და დიდ საუფლო დღესასწაულებში სრულიად შესწყვიტოს მუშაობა. ზაფხულობით უნდა იმუშაონ დილის 7-დან საღამოს 9 საათამდე, ხოლო ზამთრობით — დილის 8-დან საღამოს 8 საათამდე.

◆ როგორც ბაქოდან გვატყობინებენ, არც 6 და არც **7 აპრილს არ გამოვიდნენ მემანქანენი და დეპოს ხელოსანი მუშები** სამსახურის ასასრულებლად. 7 აპრილს გამოცხადდა მარტო 27 კაცი სხვა-და-სხვა ხელობისა და ტელეგრაფისტი. ამათ ჯარი ჰყარაულობს და ისე მუშაობენ. ბაქოს გენერალ-გუბერნატორის განკარგულებით, იმ მოსამსახურეთ, რომელნიც არ გამოვიდნენ, თავიანთ სახლებში შეიპყრობენ და გაგზავნილ იქნებიან.

◆ სად. გუმბრში, როგორც გვწერენ, **ას მგზავრზე მეტია** და დიდ გაჭირვებას და შიმშილს ითმენენ უფულობის გამო. აქაც რკინის გზის მოსამსახურენი გაფიცულნი არიან.

◆ ამიერ-კავკასიის რკინის გზის უფროსმა ინჟენერმა **ივანოვსკიმ 6 აპრილს შემდეგი ბრძანება გაუგზავნა** ფოთში ლიანდაგის მეორე ნაწილის უფროს ინჟენერს პიდიუკს: „სასჯელთა დებულების მე-69 მუხლისა და საომარ დროის წეს-რიგის დებულების ძალით, ვაპატიმრებ სადგურ ფოთის სადგურის იმ რემონტის მუშებს, რომელნიც შტატის სამსახურში ითვლებიან. დაპატიმრებულ იქნებიან ეს მუშები შვიდის დღე-ღამით თავის ნებით მუშაობაზე ხელის აღებისთვის. ეს ჩემი განკარგულება შესასრულებლად ეცნობა გენერალს ალიხანოვს“.

◆ კარაკლისში **რემონტის მუშებს** ამ დღეებში უნდა მიეღოთ ჯამაგირები და დღიური ფასი, მაგრამ, მატარებლების მიმოსვლის შეჩერების გამო, მეარტელე ვეღარ წავიდა ფულის დასარიგებლად, რის გამო ძლიერ ღელავენ.

◆ როგორც ქურდამირიდან გვატყობინებენ, ორი დღეა თურმე, რაც **მატარებლები აღარ დადიან** და ამის გამო ნავთის მილის მუშებს არა აქვთ არც პური და არც წყალი.

◆ **ჯულფის გზაზე მომუშავეთა უმრავლესობა** თავს ანებებს მუშაობას და მიდის სამშობლოში.

◆ ამას წინად დავბეჭდეთ **რესტორანების და სასტუმროების მოსამსახურეთა მოთხოვნილებანი.** მოგვყავს რამდენიმე მუხლი, რომელიც იქ არ იყო მოქცეული: ჯამაგირების მომატება წელიწადში სამჯერ; სასადილო დრო განსაზღვრული იყოს; მოსამსახურეთა მიღება-დათხოვნა მოსამსახურეებისავე სურვილით ხდებოდეს; მოისპოს უჯამაგიროდ მიღება; ის ერთი თუმანი ყოველთვიური ჯამაგირი, რაც შარშან კრებაზე რესტორანის პატრონებმა დაადგინეს, მიეცეთ მოსამსახურეებს; დღემდის გადახდილი ჯარიმები დაუბრუნდეთ; გაფიცვისთვის არავინ იქნეს დათხოვნილი და, საზოგადოდ, პოლიტიკური დამნაშავე ძველ ადგილზე იქმნას მიღებული. ყველა ამას გარდა მოსამსახურენი უერთდებიან რუსეთის მუშათა მოძრაობას და თხოულობენ სიტყვის, გაფიცვის, კავშირის, კრების, სინიდისის თავისუფლებას, პიროვნების და ბინის ხელუხლებლობას და დამფუძნებელ კრების მოწვევას. თითქმის ასეთივე მოთხოვნილებები შეიმუშავეს რკინის გზის ბუფეტების მოსამსახურეებმა.

◆ გუშინ ტფილისის სახლის პატრონებმა განუცხადეს ქალაქის გამგეობას, ეს ამოდენა ხანია **უსახელო ბარათები მოგვდის** და მუქარას გვითვლიან თუ მეეზოვენი არ დაითხოვეთ, ცუდს საქმეს გიზამთო. სახლის პატრონებმა სთქვეს, სასიამოვნოც იქნება მოვიშოროთ მეეზოვენი, მაგრამ როგორ, როცა პოლიცია გვაიძულებსო. სახლის პატრონები სთხოვენ გამგეობას დახმარებას.

◆ ამას წინად უკვე ვწერდით, რომ იარმუკას წვრილმა მოვაჭრეებმა, იჯარადრის მიერ დაწესებულ დიდ გადასახადებით შევიწროებულებმა, მოიწადინეს ფასების დაკლებაო. იჯარადარმა მართლაც ძლიან წაუმატა და თითქმის ერთი-ორად ასწია ფასები. მოვაჭრენი იარმუკის პატრონთან იყვნენ და სთხოვეს ფასების დაკლება. პატრონმა შეიწყნარა ეს თხოვნა და შემოდგომამდე ძველი ფასები (რაც მომატებამდე იყო) დასტოვა.

◆ 7 აპრილს, ღამე, ქუჩაში სცემეს ტფ. ფოსტა-ტელეგრაფის მოსამსახურეს გუტმანს. გუტმანს ღამის 4 საათზე გაუთავებია მუშაობა და შინ მიდიოდა. პოლიციის მესამე ნაწილის მახლობლად შესახვევთან გამოვარდნილა ექვსი უცნობი კაცი, დაუწყიათ ყვირილი — რად მუშაობ ღამეო, და მერე უცემნიათ.

◆ განჯასა და აჯიქაბულში, როგორც გვატყობინებენ, მიმოსვლის მოსამსახურენი და ტელეგრაფისტები გაფიცულან. სამსახურის ასასრულებლად მემანქანენი არ გამოსულან.

◆ კანდიტრების მომუშავენი და მოსამსახურენი ვერ შეთანხმდნენ, ამიტომ გუშინ, 7 აპრილიდან, შესწყდა საკანდიტროებსა და საბულკოებში მუშაობა.

შეცდომის გასწორება. გუშინდელ „ცნ. ფურც.“-ში დაბეჭდილ „სამეგრელოს თავადაზნაურობა და გლეხთა მოძრაობა“-ში შეცდომა შეპარულა: დაბეჭდილია „კონს. აღმაბაია“; უნდა იყოს „ვლ. კონს. აღმაბაია“.

დეპეშა

(საკუთარის კორესპონდენტისაგან)

ოზურგეთი. მოქალაქეთა მოთხოვნის თანახმად ქალაქის საბჭომ ითხოვა განთავისუფლება ერთად-ერთ ექიმის ჰოლოშვილისა. ადგილობრივმა ადმინისტრაციამ საბჭოს შეატყობინა, რომ მთავრობამ გადასწყვიტა, ჰოლოშვილი და მასთან ერთად დაპატიმრებული შვიდი კაცი არხანგელსკის გუბერნიაში გაიგზავნონ საცხოვრებლადაო. ოზურგეთლები ძალიან დაღონა ამ სამწუხარო ამბავმა.

გურიის სამღვდელოების კრებამ სამს დღეს გასტანა. სამოცამდე მღვდელი დაესწრო. კრებამ დღეს დაასრულა მუშაობა და დაადგინა — შეუერთდეს იმერეთის სამღვდელოებას და მოითხოვოს საქართველოს ეკკლესიის სრული ავტოკეფალია.

მაზრის უფროსმა ჯაფარიძემ სამსახურს თავი დაანება. როგორც ხმა დადის, ჯაფარიძის მაგივრად ინიშნება ოზურგეთის მაზრის უფროსად ნამყოფი ლაზარენკო.

ქუთაისის ახალი ამბები

◆ როგორც მკითხველებმა უკვე იციან, 28 მარტს ქალაქის საბჭომ დაადგინა დაბალ პოლიციელთა რიცხვის გადიდება 20 კაცით და მათის ჯამაგირების მომატება, თითოს 2 მან. 50 კაპ. ამ დადგენილების გამო რამდენსამე ხმოსანს განცხადება წარუდგენია ქალაქის მოურავისათვის. ისინი სრულიად უსარგებლოდ სთვლიან პოლიციელთა რიცხვის გადიდებას, რადგან ამ ჟამად, როდესაც ქალაქში სამხედრო წესია შემოღებული, პოლიციას მთელი სამი ცხენოსანი და ქვეითი ჯარის რაზმი ჰყავს დამხმარედ. მასთან ქალაქს არც შეუძლიან პოლიციის გასაძლიერებლად 5000 მანეთი გადასდოს, რადგან წელს, ამ არეულობისა და შფოთიანობის დროს, ქალაქის შემოსავალმა ერთი-ორად იკლო და ამავე დროს ხარჯმა შესამჩნევად იმატაო. ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, ქალაქი წელს იმდენათ გაჭირვებულია ნივთიერად, რომ ხოლერასთან საბრძოლველადაც ვერ გადადვაო ფული. რაც შეეხება სწავლა-განათლების უკეთ დაყენებას და ქალაქის კეთილმოწყობას, ამაზე ხომ წელს ქალაქს ფიქრიც არ შეუძლიანო. ისინი თხოულობენ, რომ გუბერნატორის დადგენილება ხელ-მეორედ იქმნეს განხილული.

◆ ამას წინად ქალაქის საბჭომ აარჩია კომისია, რომელმაც უნდა შეიმუშავოს საკითხები ადგილობრივ საჭიროებათა და მთელის რუსეთის სახელმწიფო წეს-წყობილების გაუმჯობესების შესახებ. კომისიას ჯერ-ჯერობით მხოლოდ ერთხელ ჰქონდა სხდომა. ზოგიერთი იმ აზრისა იყო, რომ კომისიის წევრებს გაეყოთ ერთმანეთ შორის სხვა-და-სხვა კითხვები ადგილობრივ საჭიროებათა შესახებ, რომ შესაძლებელი ყოფილიყო ამ კითხვების უფრო ვრცლად შემუშავება. რაც შეეხება საზოგადო საკითხს რუსეთის სახელმწიფო წეს-წყობილების გაუმჯობესების შესახებ, ზოგიერთი იმ აზრისა იყო, რომ ამ საქმეში შეერთებოდნენ რუსეთის შიდა გუბერნიების მოთხოვნებს. მეორე ნაწილი კომისიისა სრულიად საფუძვლიანად და სამართლიანად სცნობდა, მოვითხოვოთ ქართველ ხალხისათვის სრული ავტონომია, რადგან საქართველო თავისით შეუერთდა რუსეთს და ცნობილ ხელშეკრულობის ძალით, რომელიც რუსეთსა და საქართველოს შორის იყო დადებული, უკანასკნელს უნდა დარჩენოდა სრული თავისუფლება სამეფოს საშინაო მართვა-გამგეობაშიო. ხმები თანასწორად გაიყო. თავმჯდომარემ არ ისურვა თავის ხმით სარგებლობა, რომელიც ასეთ შემთხვევებში ერთის მხრით გადასძლევს, რადგან კითხვა მეტად სერიოზულია და საჭიროა კომისიის წევრთა მეტი რიცხვი დაესწრო იმის გადაწყვეტასო. ამიტომ ხსენებული საკითხი გადაიდო შემდეგ სხდომამდის. მეორე სხდომას მხოლოდ სამი წევრი დაესწრო და საქმე ისევ გადაიდო.

ბელია წარმოიდგინოს კაცის ოცნებამ.

ამგვარად თანამედროვე საშუალო სასწავლებელი ჰქმნის უმეცარსა და უდროოდ დონე-გამოლეულ, დაბაბუნებულ, მშიშარა ჭაბუკს, რომელიც გამოსადეგია მხოლოდ „ჩინოვნიკად“.

შევეხოთ ახლა მაღალ სწავლას, უნივერსიტეტს.

მომწიფებულ ჭაბუკს, რომლის ნიჭი გაშლილია და გაფურჩქვნილია, გონების ძალი განვითარებული, ზნეობა და სიმტკიცე ხასიათისა უმაღლეს ხარისხამდის ასული, რაღა ძალდატანება ეჭირვება?! მისი ხასიათისა და ცნობის-მოყვარეობის მომწიფება არის თავ-მდები, რომ იგი ტყუილაუბრალოდ დროს არ დაჰკარგავს, მეცნიერების წყაროს ხარბად დაეწაფება, უნივერსიტეტს, მეცნიერების ტაძარს, სასურველად გამოიყენებს. თვით ბუნება ჭაბუკისა, მოჭარბებული ძალა და სიცოცხლე მოითხოვს, რომ სტუდენტს უნდა ჰქონდეს ნება თავისუფლად ისწავლოს. და თუ ამ თავისუფლებას წაართმევთ, სტუდენტის მჩქეფარე ძალისა და სიცოცხლის შებოჭვას, შეხუთვას მოინდომებთ, ეს იქნება ნამდვილი პედაგოგიური ინკვიზიცია, იმგვარივე, როგორიც არსებობს გიმნაზიაში.

რუსულ უნივერსიტეტში გამეფებულია სისტემა ეკზამენებისა. ეს სისტემა იგივე სისტემაა მუქარისა და შეშინებისა, იგივე დამოკლეს ხანჯალია, სტუდენტის კისერზე დაღერებული. ეს არის ნამდვილი ინკვიზიცია, უარ-მყოფელი მეცნიერებისა, შემავიწროებელი ცნობის-მოყვარეობისა, თავისუფალ სწავლისა. ეს სისტემაა გამანადგურებელი, გამათახსირებელი სტუდენტის სულისა და ზნეობისა, განგებ გამოგონილი იმ აზრით, სტუდენტმა „ჩინოვნიკად“ ივარგოს მხოლოდ.

მაგალითად: მთელი საქმიო საუნივერსიტეტო სწავლა ხუთ კურსად არის გაყოფილი. თვითო კურსი თვითო წელიწადს უნდა გაათავოს სტუდენტმა. წლის კურსში მოთავსებულია განსაზღვრული რიცხვი საგნებისა. ეს ყაზარმასებური განაწილება ყოვლად შეუწყნარებელია პედაგოგიის მხრივ. თუ სტუდენტმა თავისუფლად ისწავლა და არა ეკზამენების შიშ ქვეშ, შესაძლებელია ხუთ წელიწად ნახევარს მოუნდეს ყველა საგნების რიგიანად შესწავლას. ან იქნება შვიდი, რვა წელიწადიც მოანდომოს და უფრო საფუძვლიანად შეისწავლოს მეცნიერება. რატომ უნდა ისწავლოს მაინცა და მაინც იმ შემოკლებულ პროგრამით, რომელიც სახელმძღვანელოების ფარგალშია მოთავსებული?! იქნება სტუდენტს არ აკმაყოფილებს ეს პროგრამა?! იქნება მისი ცნობის-მოყვარეობა აღემატება იმ მინიმუმს, იმ სულიერ საზრდოს, რომელსაც მას აწოდებენ?

შეიძლება მკითხველმა მიპასუხოს, თუ სტუდენტი დიდი ცნობის-მოყვარეობით არის აღჭურვილი, მას შეუძლიან თვითეულ კურსზე იმდენი საგანი ისწავლოს, რამდენიც სურს, და შემდეგი საგნები შემდეგ წლისათვის გადასდოსო. მაგრამ ეს ყოვლად შეუძლებელია. მაგალითად, პირველ კურსზე შვიდი საგანია, თუ ხუთი საგანი შეისწავლე და ორი არა, პირველ კურსზედვე დაგტოვებენ, ნებას არ მოგცემენ შემდეგის კურსის საგნები ისწავლო. მაშასადამე უნდა დაჰკარგო მთელი წელიწადი. და თუ ყოველთვის თვითო წელიწადი დაჰკარგე, მთელი კურსის გათავებას ათი წელიწადი მოუნდება. ამიტომ ყოველი სტუდენტი იძულებულია ყოველ წელიწადს პროგრამის შესაფერად ისწავლოს და, რასაკვირველია, ამ გვარ პირობებში შეუძლებელია თავისუფალი, აღუშფოთებელი სწავლა, გამოწვეული არა ეკზამენების შიშით, არამედ ცნობის-მოყვარეობით, სწავლა უანგარო, სულის დამაკმაყოფილებელი და სასიამოვნო, რომელსაც შეუძლიან მხოლოდ გამოიღოს სასურველი ნაყოფი. თვითეულ კურსზე ყველა საგანშა თითქმის ერთსა და იმავე დროს არის გამოცდა, ეკზამენები. თუ დანიშნულ საათსა და დღეს არ მიხვედი, მთელი წელიწადი დაგეკარგება. ამიტომ იძულებული ხარ ერთსა და იმავე დროს ხუთი, ექვსი მეცნიერება ისწავლო, ირბინო აუდიტორიიდან აუდიტორიაში, ლაბორატორიიდან ლაბორატორიაში. ჯერ ერთი საგანი ვერ შეგისწავლია, ვერ მოგინელებია, უეცრად ამ საგნის სწავლას ხელი უნდა აუშვა და მეორე საგანს უნდა მოჰკიდო ხელი ერთის საათით. გულდასმით, დინჯად მეცადინეობა შეუძლებელია, გულის აცრუება აუცილებელია. ძაფი აზრიანის შესწავლისა გაწყვეტილია, ყოველივე სისტემა უარყოფილია. სწავლას ედება საფუძვლად არა ცნობის-მოყვარეობა, არამედ ეკზამენების შიში. ოღონდა „ეკზამენი დაიჭიროს“ სტუდენტმა შემდეგ კურსზე გადავიდეს, და იგი სხვას არაფერს დასდევს, სულ ერთია მასთვის, გამეცნიერებული იქნება, თუ არა. ვისაც არა სჯერა ეს სიტყვები, ვთხოვ ოდესმე დაესწროს საუნივერსიტეტო ეკზამენებს. ღმერთო ჩემო! რა გულსაკლავ, რა სამარცხვინო სურათს წარმოადგენს ეს ეკზამენები! ვისაც ახალგაზრდობისათვის გული შესტკივა, დიდხანს ვერ გაუსწორებს თვალს, დიდხანს ვერ უყურებს ამ გულის შემზარავ სურათს. ახალგაზრდა ჭაბუკი, ფერ-მიხდილი, შეშინებული, თითქმის თავზარდაცემული ვერხვის ფოთოლივით თრთის და ჰკანკალებს პროფესსორის წინაშე, რადგან ხელთა აქვს ძლიერ მცირე საზღვარი მეცნიერებისა, არა აქვს თავის იმედი. ეს შიში, ეს თრთოლა საუკეთესო დამამტკიცებელია სტუდენტთა უცოდინარობისა, რადგან მცოდნე კაცს არასოდეს არ ექმნება ეჭვი თავის ცოდნაში.

სწავლა უნდა იყოს თავისუფალი. სტუდენტს უნდა ჰქონდეს ნება შეისწავლოს საგნები ერთი მეორეს შემდეგ შესაფერ თანდათანობით. უნდა ჰქონდეს ნება შეისწავლოს თვითეული საგანი და დარჩეს უნივერსიტეტში, რამდენ ხანსაც სურს; „დაიჭიროს ეკზამენი“, როდესაც თვითონ შეატყობს თავს, რომ მზად არის. ერთის სიტყვით, ეკზამენი მცირე მნიშვნელოვანი რამ არის, მეცნიერების შესწავლას საფუძვლად უნდა ედვას ცნობის მოყვარეობა და თავისუფალი შრომა. ყაზარმისებური დისციპლინა უნივერსიტეტში ჰქმნის „ჩინოვნიკებს“ და არა მეცნიერებს. ჩვენ თანავუგრძნობთ გერმანელ საუნივერსიტეტო წესდებას, რომლის მეოხებითაც გერმანულმა მეცნიერებამ პირველი ადგილი მოიპოვა ქვეყანაზე.

რომ რუსულ უნივერსიტეტს აქვს აზრად „ჩინოვნიკის“ აღზრდა, ეს იქიდანაც სჩანს, რომ პროფესსორებს მინისტრი ნიშნავს და უნივერსიტეტი პოლიციელებით აავსეს. ინსპექტორი, სუბინსპექტორები, „პედელები“, თვალყურს ადევნებენ სტუდენტების ყოველ ნაბიჯს და პირდაპირი დამოკიდებულება აქვთ პოლიციასა და ჟანდარმერიასთან. ვისაც ხელში „პასპორტი“ არ უჭირავს, იმას აუდიტორიაში არ უშვებენ, რადგან ეშინიანთ, სტუდენტს გარდა სხვას არავის მიედინოს უნივერსიტეტის სული.

ამგვარად უნივერსიტეტის კედლებს შორის პოლიციაა გამეფებული, მეცნიერება კი წამებული და დატყვევებულია.

აქ უნდა აღვნიშნო ერთი დიდი ბოროტება, რომელმაც ბოლო მოუღო რუსულ მეცნიერებას. უკეთეს, უნიჭიერეს სტუდენტებს მგლეჯავით იტაცებენ, აგდებენ უნივერსიტეტს. მეცნიერების ასპარეზი კი უნიჭოებს რჩებათ, ეს სისხლის-გაცლება უნივერსიტეტისა, ე. ი. ნიჭიერების განდევნა, თავიდან მოშორება, ისე დაჟინებით, ისე სასტიკად სრულდება მას აქეთ, რაც უნივერსიტეტები დაარსდა რუსეთში, რომ შეიძლება ითქვას, ეს იყო და არის მთავარი მიზანი, მთავარი დანიშნულება რუსული უნივერსიტეტისა.

დავუმატოთ ამას, რომ პროფესსორს ნება არა აქვს სთქვას თავისუფალი სიტყვა კათედრიდან, სტუდენტებს არა აქვთ უფლება თავისუფლად შეიკრიბნენ და ისაუბრონ. ყოველ მათს ნაბიჯს უთვალ-თვალებენ საუნივერსიტეტო პოლიციელები, ინსპექტორი და მისი შტაბი.

აი, რას წარმოადგენს რუსული უნივერსიტეტი! ეს არის სასაცილოდ აგდება უნივერსიტეტისა. მეცნიერების ტაძარს საერთო არა აქვს რა ამგვარ „სასწავლებელთან“. რუსული უნივერსიტეტი იგივე ბიუროკრატიული დაწესებულებაა, განუყოფელი ნაწილია ახლანდელ დახავსებულ სახელმწიფო სხეულისა. სანამ სახელმწიფო წეს-წყობილება არ შეიცვლება, მანამ არც უნივერსიტეტის წესდება შეიცვლება, რადგან, როგორც ზემოდ ვთქვით, სასწავლებელი საზოგადო წესწყობილებას შეეფერება, თავისუფალი სწავლა მხოლოდ თავისუფალ სახელმწიფოში შეიძლება იყოს.

მაშ რად ღელავს მოსწავლე ახალგაზრდობა? იმიტომ, რომ იგი ეურჩება თავის გონების, ზნეობის და სხეულის დასახიჩრებას; იმიტომ, რომ ახალგაზრდობას უფრო უყვარს სიცოცხლე და უფრო სძულს უდროოდ მოძაბუნება, ცოცხალ-მკვდრობა; სხეულის ნორჩი ძალა ებრძვის დამხრჩველ-განმანადგურებელ სისტემას. რად ითხოვს ახალგაზრდობა აკადემიურ თავისუფლებას გარდა კიდევ საზოგადო წეს-წყობილების შეცვლას? იმიტომ, რომ პირველი მეორის შედეგია, თავისუფალი სწავლა შეუძლებელია მონურ, ბიუროკრატიულ წესწყობილებაში.

მაშ რას შეუძლიან დაამშვიდოს მოსწავლე ახალგაზრდობა? პასუხი ერთად-ერთია: მხოლოდ ახლანდელ წესწყობილების შეცვლას.

ვასილ წერეთელი

რუსეთის ქრონიკა

რუსეთის იმპერიის ვექილების საერთო კრება. 28 მარტს პეტერბურგში თავისუფალ ეკონომიურ საზოგადოების სადგომში გაიხსნა იმპერიის ვექილების კრება. თავმჯდომარედ იყო როდიჩევი. წარმოთქმული იყო ბევრი სიტყვა. სხვათა შორის, საჭიროდ იცნეს, რომ პოლონელი ადვოკატები მომავალში გამოყოფილ იქნენ სრულიად რუსეთის კავშირისაგან. აირჩიეს ბიურო კავშირის ორგანიზაციისათვის. ბიუროში მოუყვნენ როდიჩევი, კანავერი, ბერენშტამი, სტალი, ანდრონიკაშვილი და სხვები.

ვარშავის უნივერსიტეტი, მთავრობის განკარგულებით, საბოლოოდ დაიკეტა. გამორიცხულია 1200 სტუდენტი.

უმაღლესი პატიება. ნოვოჩერკასკის პრისტავს, რომელსაც მიუსაჯეს 8 თვის ციხე ერთის კაცის დასახიჩრებისათვის თანამდებობის ასრულების დროს, უმაღლესის რეზოლიუციით სასჯელი შეუმცირეს—ერთი თვე იქნება დაპატიმრებული და ისიც ჰაუპტვახტში. („ო. ნ.“).

ეპისკოპოსი და „მოსკ. ვედ.“ ნიჟნი ნოვგოროდის ეპისკოპოსმა წერილი დაბეჭდა „ვოლგარ“-ში და სთხოვა „მოსკ. ვედ.“ რედაქტორს, ნუღარ მიგზავნი შენს გაზეთს, რადგან გრინგმუტის გაზეთს არ უნდა ჰკითხულობდეს რუსულ ეკლესიის ეპისკოპოსიო.

პოლიციელზე თავდასხმისათვის ვარშავაში სამხედრო სამართალში მისცეს ორი კაცი; ერთს სიკვდილით დასჯა გადაუწყვიტეს, მეორეს 12 წლის კატორგა. („ნ. ვ.“).

პოლიტიკურ საქმეების მთელი წყება განიხილა მოსკოვის სამოსამართლო პალატამ; მთავრობის წინააღმდეგ მიმართულ პროკლამაციების ბეჭდვისა და გავრცელებისათვის დამნაშავეთ მიუსაჯეს ციხეში დაპატიმრება 1 წლით და 3 თვით.

საერო განათლების მინისტრი გლაზოვი სამსახურს თავს ანებებს და მის ადგილზე მიწათ-მოქმედების ეხლანდელი მინისტრი ერმოლოვი ინიშნებაო. („რ. ვ.“).

პატარა ფელეტონი

ღალატი.

ერთი მეორის გაუტანლობამ, დაბეზღებამ, დარბევამ, ღალატმა დაგვღუპა!

ვღალატობდით და ვღალატობთ იმ თავიდან აქამდე!

ჩვენ თავად-აზნაურობას ისტორიული სახელი აქვს. განთქმულია ბევრის სასახელო პირებით, ქვეყნისათვის თავ-დადებულობით, მაგრამ ჩვენი ახლანდელი დაბეჩავებაც ამავე თავად-აზნაურობის ბრალია...

ერთნი რომ საქვეყნო საქმეებს აკეთებდნენ და სასახელოდ მოქმედებდნენ, მეორენი შურით, ქიშპით, ღალატით ყოველივეს ანადგურებდნენ...

რაც დრო მოდიოდა, ღალატმა ფესვები ყველგან გაიდგა!

ღალატის სენი მთელს საქართველოს მოედო:

დიდნი თავადნი—მეფეს, მეფე—თავის ძმა-ბიძაშვილებს, ესენი კიდევ თავიანთ რჯულს უღალატებდნენ და ღალატობდნენ!

ათასჯერ გაყიდული და გამოსყიდული საქართველო ამ ასი წლის წინად ერთხელ კიდევ გაყიდეს...

ხალხს ვინ რა ჰკითხა, ან როდის რას ჰკითხავდნენ?

„ჟუდზე კატით“!—და გამოდიოდნენ სისხლის დასაღვრელად.

„პური, ღვინო“!—და თვალის ღვრით ნამუშევარი მიქონდათ.

ერთს წილად ერგო ქეიფი, სახელი, განცხრომა!

მეორეს მძიმე ტვირთ ქვეშ შრომა, სისხლისაგან დაცლა და მონობა!

ასე, ამ გვარად დღემდე მოვაღწიეთ, როდესაც დაჰბერა განახლების, თავისუფლების გრიგალმა.

ტანჯული ჩვენი ხალხიც შეიძრა...

აღარავის სურს, არც შეუძლიან ძველის, დახშულის ჰაერით სუნთქვა.

ყველა ახალს ეძებს, ყველა ახლისაკენ მიისწრაფვება, ყველა ნატრობს პურს, სამართალს, განთავისუფლებას, განათლებას.

„ერთობა! ერთობა“!—გაისმის მძლავრად...

თითქოს უმავთულო ტელეგრაფით გადაეცა ეს ძლიერი ხმა ჩვენი ქვეყნის ყოველ კუნჭულს!

აბობოქრდა ხალხი და მასთან ერთად ზოგიერთი თავად-აზნაურიც.

ერთად არიან, ერთს გაიძახიან, ერთად სურსთ ერთს ტაფაზე დაიწვან!!

მაგრამ... მაგრამ ზოგიერთებს ქვეყნის და ხალხის ღალატი შესისხლ-ხორცებული ჰქონია და სცდილობენ მონურის ჩურჩულით ეს გულით-ამონაკვნესი ხალხის ღრიალი ჩააქრონ...

ზოგი პეტერბურგს გაიპარა, ამ მოძრაობისაგან შეშინებული, და იქ იმალება... ხალხის ბედი და წინ-სვლა ფეხებზე ჰკიდია...

„მე ჩემთვისა ვარ და ყველა ჩემთვის! სხვას რად გადავაყოლო ჩემი თავიო“. ასე ჰფიქრობს და ასე მოქმედობს...

თუ დარი დაუდგა, სადაც ჯერ არს—იქ იტყვის: „მე არაფერს დავსწრებივარ და ხელი დამიბანიაო!

ზოგი ჯარს თხოულობს ხალხის გასაჟლეტად...

ზოგი გაზეთების მოსპობას ლამობს...

ზოგს კიდევ ჩინიანობა სწადიან!

ზოგს პენსიის დაკარგვისა ეშინიან და „დანოსებს“ სწერს...

ბუდე სიცრუისა, ხალხის მოტყუილებისა, ტბა ძალ-მომრეობისა, ზღვა ღალატისა დანგრევას და დაშრობას აპირებენ და ესენი კიდევ აქ ნატრობენ ნავარდობას და ცურვას.

გვიანღა არის!!

სამარცხვინო ბოძი ამათთვის ხალხის გულში აგებულია!

ძველის, გახრწნილის, დახავსებულის აღდგენა შეუძლებელია!

შეუძლებელია!!!

ბუნებაში არა სუფევს ისეთი ძალა, რომელმაც შეიძლოს ეს მოძრაობა, ეს ახალისადმი მოსწრაფება შებოჭოს, შეზღუდოს...

ვინც ამას ვერ შეისმენს, ვერ იგრძნობს, ვერ გაითვალისწინებს, ხალხის ხსოვნის წიგნში აღმოიფხვრება და განადგურდება! **კვიმატი.**

წერილები

ქ. ზაქათალა (მოსწავლეთა გაფიცვა). მოსწავლეთა შორის დაბადებულმა მოძრაობამ ზაქათალამდიც მიაღწია. 30 მარტს, აქაურ საქალაქო სასწავლებლის მოსწავლეებმა დილის საერთო ლოცვის შემდეგ სასწავლებლის ინსპექტორს წარუდგინეს თავიანთი მოთხოვნილებანი, რომელიც 11 მუხლისაგან შესდგება, და შესწყვიტეს სწავლა. „ჩვენ, ზაქათლის საქალაქო სასწავლებლის მოწაფეები, მხარს ვუჭერთ სხვა სასწავლებლების მოსწავლეთა სამართლიან მოთხოვნილებებს და თავის მხრით ვარდგენთ შემდეგ მოთხოვნილებებს, რომელთა განხორციელება აუცილებელია სკოლის გასაუმჯობესებლადაო, ნათქვამი პეტიციაში. აი ზოგიერთი მუხლი. სწავლება ყველა საგნებისა დედა-ენაზე უნდა იყოს. ეხლა ჩვენ საგნებს ვსწავლობთ ჩვენთვის გაუგებარ ენაზე, ამიტომ 7—8 წლის განმავლობაში ვერ ვიძენთ ვერც საკმაოდ მტკიცე ცოდნას და ვერც რუსულ ენას ვითვისებთ ხეირიანად. დედა-ენაზე კი ყოველგვარ ცოდნის შეთვისება შესამჩნევად გაადვილდებაო, ასაბუთებენ მოწაფენი თავიანთ პირველ მოთხოვნილებას; რუსულ ენას უნდა გავდიოდეთ, როგორც სავალდებულო საგანს; გადაყვანა კლასიდან კლასში უნდა ხდებოდეს უეგზამენოთ, წლიურ წარმატების მიხედვით; თუ მოსწავლე არ იქნება კმაყოფილი იმავე კლასში დატოვებით, შეუძლია მოითხოვოს გამოცდა; სწავლა ყველასთვის უფასო უნდა იყოს; საქალაქო სასწავლებელში კურს დამთავრებულს უგამოცდოთ უნდა შეეძლოს საშუალო სასწავლებლებში სწავლის გაგრძელება; ზაქათალის საქალაქო სასწავლებელთან გაიხსნას მსურველთათვის საბუღალტერო კლასი; სასწავლებლის წიგნთ-საცავი უნდა გაფართოვდეს, უნდა იყოს წიგნები ქართულ, სომხურ და თათრულ ენებზედაც; საჭიროა გამოწერილ იქნას ჟურნალ-გაზეთები აღნიშნულ და რუსულ ენებზე და სხვა. მოთხოვნილებათა წარდგენისთანავე მოსწავლეებმა განაცხადეს, რომ პასუხს დავუცდით 25 აპრილამდე და თუ არ დაგვაკმაყოფილებთ, სწავლას აღდგომის შემდეგაც არ განვაახლებთო. სასწავლებლის ინსპექტორმა მეორე დღესვე შეჰკრიბა მოსწავლეთა მშობლები. წაიკითხა იმათი წარდგენილი მოთხოვნილებანი და განუმარტა, რომ ამათი ასეთი თუ ისეთი გადაწყვეტა ასე მოკლე ვადაში, რომელიც თქვენმა შვილებმა დანიშნეს, ვერ მოხდებაო, და თან დასძინა: ყველა მოთხოვნილებებს სამოსწავლო მთავრობას წარვუდგენო. სთხოვა მშობლებს, იმოქმედონ თავიანთ შვილებზე, რომ შეწყვეტილი სწავლა ეხლავე განაახლონ. მშობლებმა განაცხადეს: ჩვენ ვუერთდებით მოწაფეთა მოთხოვნილებებს, გარდა პირველ მუხლისა. პირველი მუხლი კი, ჩვენის აზრით, ასე უნდა შეიცვალოს: პირველ ორ განყოფილებაში საგნების სწავლება დედა ენაზე უნდა სწარმოებდეს, თან რუსულ ენის სწავლებაც სავალდებულო იყოს. შემდეგ განყოფილებებში კი საგნების გადაცემა რუსულ ენაზე ხდებოდეს, მაგრამ მასთანვე სამშობლო ენის შესწავლის გასაუმჯობესებლად გაკვეთილთა რიცხვი ამ საგანში ოთხზე ნაკლები არ უნდა იყოს კვირაში. ეხლავე სწავლის განახლება მშობლებმა შეუძლებლად სცნეს და გამოსთქვეს სურვილი, რომ იგი შეწყვეტილ იქმნას 25 აპრილამდის.

გ. მაკვანეთელი.

ღამის დეპეშები

„პეტერბურგის დეპეშათა სააგენტოსაგან“

6 აპრილი

პეტერბურგი. ადგილობრივ და საზღვარგარეთ ბირჟებზე დაყრილი ხმები, ვითომც საიმპერატორო მთავრობას განზრახვა ჰქონდეს გამოუშვას ახალი შინაგანი სესხი, ტყუილია.

ტოკიო, 6 აპრილი. (რეიტ.) ოფიციალურად იუწყებიან, იმ რაზმმა, რომელიც ტონგუაზე ილაშქრებდა, 50 მილის მანძილზე, სახინჩენის აღმოსავლეთით, დაიჭირა ეს ადგილი 2 აპრილსო. რუსებმა ჩრდილოეთისკენ დაიხიეს.

პორტ-ლუი. გერმანიის ორთქლ-მავალმა გემმა „ჯულიეტა“-მ, რომელიც აქ ნახშირისთვის მოვიდა, ბრძანება მიიღო ტელეგრაფით, საიგონს წავიდეს. კაპიტანმა განაცხადა, რომ იგი დასცლის გემს ტზინტაუში. მას ნება დართეს წაეღო 600 ტონა. როცა 100 ტონა უკვე დადებული იყო, ადმინისტრაციის ბრძანებით დატვირთვა შეწყვეტილ იქნა. ამ გემზე მოსამსახურე რამდენიმე ინგლისელმა განაცხადა, გემზე სურსათი იყო რუსის ესკადრისთვისო.

ტოკიო, 6 აპრილი. („დეილი-ტელეგრაფ“-ი). იაპონიამ ფორმალური პროტესტი განუცხადა საფრანგეთის მთავრობას კამრანში რუსის ესკადრის დგომის შესახებ.

სტამბოლი, 6 აპრილი. პორტამ ცირკულიარები დაგზავნა თავის წარმომადგენლებთან საზღვარ-გარეთ, სადაც დაწვრილებითაა აწერილი რევოლიუციონურ კომიტეტების მოქმედება; იქვე არღვევენ გაზეთებისაგან მოწოდებულ ცნობებს ოსმალებიდგან წესიერების დარღვევის შესახებ. გუშინ გამოაქვეყნეს ბრძანება გერმანიაში ახალ შინაგან სესხზე; საფრანგეთში სესხის შოვნის შეხებ კი არაა ჯერ გამოქვეყნებული ბრძანება, ვინაიდგან ალჟირში რკინის გზის გაკეთების საქმე ცოტათი გაჭირდა.

ტფილისი, 6 აპრილი. ქართველმა სასულიერო წოდებამ გადასწყვიტა, სიეზდებზე იშუამდგომლოს საქართველოში საკათოლიკოსოს აღდგენაზე.

პეტერბურგი, 6 აპრილი. ოფიციალური. ოთხშაბათს, 6 აპრილს, მინისტრთა კომიტეტმა განაგრძო იმ საკითხებზე მსჯელობა, რომელნიც 12 დეკემბრის უკაზის მე-7-ე პუნქტისამებრ შეეხებიან პოლონეთის გუბერნიებს. დაწვრილებით განიხილეს საკითხი პოლონეთში უმაღლესსა და საშუალო სახელმწიფო და კერძო სასწავლებლებში, საგმინო სამმართველოებსა და შინაგან საქმეების წარმოებაში სამშობლო ენის ხმარების შესახებ. შემდეგ კომიტეტი შეჩერდა აწ არსებულ განსაზღვრებზე პოლონეთში მიწის მფლობელობის შესახებ, იბაასა იმაზე, თუ რა პირობებით უნდა შემოიღონ ვარშავის საგენ.-გუბერნატორობში საერობო და საქალაქო დაწესებულებანი და ამასთან განიხილა საკითხი იმის შესახებ, რომ პოლონეთის გუბერნიები საერთო სასამართლო წესდებებისაგან გამოცალკევებული არიან.

ლონდონი, 6 აპრილი. (რეიტ.) ბალფურმა განაცხადა პალატაში ტიბეტისა და ავღანისტანის შესახებ, მთავრობას არ აქვს ცნობა ტიბეტის ხელშეკრულობის შეცვლაზე, რომელზედაც მეკითხება კამბელიო. ავღანისტანთან შეთანხმება-კი, განაახლებაა ემირის მამასთან უთუოდ შეთანხმებისაო. ამ ხელშეკრულობებში არ არის არაფერი საიდუმლო და დაუბოლავებელიო.

ლიმოჟი, 6 აპრილ. მოკლულ მუშის გასვენებას 15 ათასი კაცი დაესწრო. არავითარი ინციდენტი არ მომხდარა.

მოსკოვი. მოსკოვის უნივერსიტეტში განცხადება მოვიდა იმ დაწესებულებებიდან, რომელნიც სტიპენდიებს აძლევენ სტუდენტებს, სწავლის დაწყებამდე არ მისცეთ სტიპენდიებიო.

ტფილისი, 6 აპრილი. გაიფიცნენ მემანქანეები, მატარებლების შემდგენელნი, ვაგონების გადამბნელნი და მეისრენი. შეწყვეტილია ყველა მატარებლების მიმოსვლა. გაიფიცნენ ბაქოს მუშებიც, ამიტომ პირდაპირი მიმოსვლა შეწყვეტილია.

რომი, 6 აპრილი. (სტეფანი). პალატამ მიიღო, 289 ხმით 45-ის წინააღმდეგ, კანონპროექტი რკინის გზისა და სხდომა 20 აპრილისთვის გადასდო.

„რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან.

7 აპრილი

ლონდონი, 6 აპრილი. გუშინ დილით ფილიპინებთან შეამჩნიეს იაპონელთ 16 კრეისერი და კონტრ-ნაღმოსანი, რომელნიც იქაურობას ზვერავდნენ.

მოსკოვი, 6 აპრილი. საერთო საერობო ორგანიზაციის რწმუნებული გაიარინი იუწყება, ახლო მომავალში არ ველით შებრძოლებას და ამიტომ სანიტარული რაზმი ჩრდილოეთისაკენ იხევს.—სამხედრო-საინჟენრო უწყებამ ააშენა ხარბინში 500 ყაზარმა, რომელთა ერთი ნაწილი გოსპიტლებს დაუთმო. ხმებია, ყველა გოსპიტლები მდ. სუნგარის გაღმა უნდა გადაიტანონო.

რადგანაც სწავლულების საზოგადოებათა სხდომებზე მოხდება მთავრობის საწინააღმდეგო დემონსტრაციები, ამიტომ პოლიტეხნიკურ მუზეუმის კომიტეტი იძულებული შეიქნა, შენობის დაქირავების დროს, თავმჯდომარეებს ხელწერილი ჩამოართვას, რომ დემონსტრაციები არ გაიმართება.

გუნჩულინი. ომის ასპარეზზე არავითარი ცვლილება არაა. ჩვენის მარცხენა ფრთის წინააღმდეგ იაპონელები განაგრძობენ გამოლაშქრებას. ჩვენი წინა რაზმი პადიაცზის ჩრდილოეთით წავიდა.

ლონდონი. ლონდონის საზღვაო დამზღვევთ ძლიერ აწუხებს და აშინებს ის გარემოება, რომ არაა ცნობა, თუ როგორ მოძრაობს რუსის ესკადრა ჩინეთის ზღვაში. უკანასკნელ ორის დღის განმავლობაში დასაზღვევმა პრემიებმა 50%-ით აიწია. როჟესტვენსკის ესკადრას დიდი ზარალის მოტანა შეუძლიან ზღვაოსნობისთვის, მით უფრო, რომ, თუ ადმირალმა გემები დაიჭირა, მას არ შეეძლება რუსის ნავთ-სადგურებში გაგზავნოს იგინი და იძულებული გახდება ან თავისთან წაიყვანოს, ანა და ჩასძიროს.

ამოი. ჩინეთის მოხელეებს მოლაპარაკება ჰქონდათ, როგორ უნდა მოიქცნენ, თუ რუსის ესკადრა მივიდა ამოის ნავთ-სადგურში; გადასწყვიტეს, დაიცვან სასტიკი ნეიტრალიტეტი; კონსულებს წინადადება მისცეს, გადმოიყვანონ ნაპირზე ჯარი წესიერების დასაცველად უცხოეთის უბანში, მაგრამ მათ უარი განაცხადეს ამაზე. ხმებია, გემ „ნიტპანკ“-ზე, რომელიც ნავთ-სადგურში დგას, საომარი სურსათია ნახშირს ქვეშ დამალული რუსეთის ესკადრისათვისო. იაპონიის საზღვაოსნო საზოგადოებებმა, რომელნიც იაპონიასა და ფორმოზას შორის ატარებენ გემებს, შესწყვიტეს თავიანთ გემების მიმოსვლა.

მალტა. ხმელთა-შუა ზღვის ესკადრა სურსათს უდებს და მომავალ ორშაბათს მიდის მარმარის ბუხტაში, საიდგანაც ყველაზე მოხერხებულია დარდანელისთვის თვალ-ყურის გდება.

განჯა, 6 აპრილი. მეოთხე დღეა ფოსტა არ მოსულა ტფილისიდან.

ბელგრადი. რადგანაც დიდი ნიაღვრები იყო, ამიტომ სერბიაში წყალდიდობა იყო. იუწყებიან გარნიზონის აფიცრები ბევრი დაიღუპა ამ უკანასკნელ დროსო. პოზარევაცში მოძრაობა დაიწყო. აწ არსებულ წესრიგის მოწინააღმდეგე აფიცრებმა დემონსტრაცია მოახდინეს, ჩამოგლიჯეს კედლიდან მეფე პეტრეს სურათები და გადაყარეს. შინაგან საქმეთა მინისტრი ღამით წავიდა პაზარევიჩში, რათა საქმე ჩააფუჩეჩოს.

სუხუმი. 4 აპრილს, საღამოს ათის ნახევარ საათზე შეიარაღებულები დაეცნენ სმეცკის აგარაკზე მეთოფ სტ. პოვეტ. უსტინოვის ოჯახს. მძარცველებმა, რომელნიც ათამდე იქნებოდნენ, წაიღეს 150 მ. და მიიმალნენ. 5 აპრილს, საღამოს, ოჩემჩირესთან შეტაკება მოხდა ადგილობრივ მკვიდრთა და ყაზახებს შორის. ყაზახებმა ორი მოჰკლეს და სამიც დასჭრეს. შეტაკების მიზეზი არ იციან.

პარიზი. სოციალისტმა პრესანსემ განაცხადა პალატაში სხდომაზე, დელკასეს პოლიტიკაში დიდი ნახტომებიაო; ამასთან იგი კრიტიკულად იხილავს გერმანიისა და შეერთებულ შტატების შესახებ პოლიტიკას.

რედაქტორ-გამომცემელი **ალ. გ. ჯაბადარი**

განცხადებანი

ახალი წიგნი

რანი ვიყავით გუშინ?

ისტორიული წერილი იაკობ გოგებაშვილისა, გამოვიდა და ისყიდება ტფილისში წერა-კითხვის საზოგადოების წიგნის მაღაზიაში. გაიგზავნა სხვა ქალაქებსა და დაბებშიც. ფასი ერთი აბაზი. მთელ შემოსავალს წიგნისას, რომელიც მთელის გამოცემის გაყიდვის შემდეგ ოც თუმნამდე უნდა ავიდეს, ავტორი გაგზავნის გურიაში იქაური საჯარო ბიბლიოთეკების შესავსებლად საუკეთესო წიგნებით. (5—6.—3)



СѢДЕЛЬН. СПЕЦІАЛЬН.

Безъ конкуренціи продаются всевозможн. сѣдла.

მიხაილოვის პრ., სახლი აკოფოვისა, № 92, სახაზინო სობრის ახლოს. (ჟ—176—206)

ქუთაისის საქალაქო წმიდა ნინოს სასწავლებლის მთავრობა ამით აცხადებს, რომ ის მოწაფეები, რომელნიც 11 აპრილამდე სწავლის ფულს არ შემოიტანენ, გამორიცხულ იქნებიან ამ სასწავლებლიდან. (3—3)

კბილებს

ვილებ, პლომბს ვუკეთებ, ვასუფთავებ, ვსვამ ახალ ხელოვნურ კბილებს და ვამქრალებ ცუდ სუნს. გ. მ. ხოხველი. მიხეილის ქ., № 108. გერმანელთა ტაძრის პირდაპირ. ხელ-მოკლეებს იაფად. (30—29)

პირველი საწყობი

შეშისა

პ. ი. კურცხალიასი

ანდრეევის ქუჩა, დამოქის პირდაპირ. საკუთარის ტყიდან მიღებულია დიდ-ძალი შეშა ყოველგვარ ღირსებისა, რცხილისა, წიფლისა, მუხისა, რთხმელისა და სხვა მუხის დიდი ბოძები. შეშის სახლში მიტანას ფირმა საკუთარ პავოზკებით კისრულობს. შეშა იყიდება საჟენობითაც და ფუთობითაც. მყიდველს ნება აქვს შეშის ჩაწყობა თავის თვალ წინ დაადგმევინოს, რადგანაც მსყიდველები ბევრჯელ სტყუვდებიან დადგმულ საჟენიდან. მეორე განყოფილება იმყოფება ვერის ხიდის ყურთან.

(90—31) გამგე ნიკოლოზ პავლეს ძე კიკნაძე.

ქუთაისში

სამ. ბ. თოფურიას

სამკურნალო,

რომელიც იმყოფება მათი უმაღლესობის პრინც ალექსანდრე ოლდენბურგელის მფარველობის ქვეშ. სამკურნალოში 75 საწოლია შინაგან, ნერვებისა, სახირურგიო, დედათა და თვალით ავადმყოფთათვის, მშობიარეთა განყოფილებით და ქიმიურ-მიკროსკოპიულ გამოკვლევათა კაბინეტით. გადამდებ სენით და სულით ავადმყოფებს სამკურნალო არ ღებულობს.

დღიური ფასი საავადმყოფოში შენახვის, და წამლობით 1 მანათიდან 3-მდე.

ახლად დაბეჭდილი

სამზარეულო

ფასი 1 მან. 50 კაპ.

იყიდება წიგნების გამომცემელ ქართველთა ამხანაგ. კიოსკში, ქვაშვეთის ეკკლესიის პირდაპირ, ალექსანდრეს ბაღის კუთხეში, ქ. ტფილისში. ვისაც ათის ან მეტის ეგზემპლიარის ყიდვა ჰსურს, მიჰმართონ ქართველთა ამხ. კანტორას, ვანქის ქუჩაზე, ამხ. სტამბაში. (25—23)

გროლის ვარდის ფერი

საპონი

№ 4711

შეიცავს ბევრ გლიცერინს.

დიდი ეკონომია, რადგან ბევრი ქაფი იცის.

ნაზი სურნელებ ვარდისა,—

აი თვისება, რომლითაც ეს საპონი დიდად განირჩევა.

ფერდ. მიულჰენსი,

სამრეკლოში № 4711 კელნსა და რიგაში.

(6—მც.—6.)

საუკეთესოდ მოწყობილი

ასოების ჩამოსასხმელი ქარხანა

წიგ. გამ. ქართ. ამხანაგობის,

ამზადებს ყოველნაირ ქართულს, რუსულს, სომხურს და თათრულს ასოებს.

პრეისკურანტი მსურველთ უფასოთ ეგზავნებათ.

„ბალკის“

ამხანაგობა (ვოკზლის ქუჩა) ჰყიდის გოგირდს და შაბიამანს. (3—144—3)

КАКАО
ВАНЪ-ГУТЕНА

კუნთების ძალა

წმინდა, კარგი კაკაო, ე. ი. კაკაო ვან-გუტენისა, საუკეთესო სასმელია, რომელიც ამაგრებს კაცის სხეულს; ამიტომ ყველას უნდა მოეპოვებოდეს. საუკეთესო ექიმებმა იგი იცნეს მშვენიერ საშუალებად კუნთების განსავითარებლად.

Фабриканты C. J. van Houten & Zoon, Weesp (Голландія).

(2—2)

Доз. цен. Тифлисъ, 7 Апрѣль 1905 г.

Электропеч. груз. изд. т—ва. ელექტრონის სტამბა წიგ. გამომ. ამხ—ბ.